

# ახალი თაობა



**„რა გზავნილი უამოუთვალა ტრამვაი საქართველოს კვირიკაშვილის პირით“**

გვ. 4

მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონიდან ჟანგბადის სხვა ულუფებიც წამოვა“

**11 მაისიდან**

სულხან-საბას **იგავეები**

ფასი **გაზეთთან ერთად 14 ლარი**



შაბათი – კვირა, 13 – 14 მაისი, 2017

№112 (7347)

ფასი: 50 თეთრი

## ნიკა რურუა: „ოცნება“ რაც უფრო ჩაბჭირდება კონსტიტუციაზე, მით უარესი იქნება მისთვის“



გვ. 3

მე ჰეზიდენტის მაგივრად ახ მინდა დავაჩაყი და ახც – ოპოზიციური პატიების. მიზეზი ჰეითხეთ მათ, ჩატომ მონანილეობენ. მე და ჩემი თანაპატიელები ვთვლით, რომ ეს ფაქსია და ამაში მონანილეობას ახ მივიღებთ!

**რამაზ საყვარელიძე: „მარბველავილი თავის უპარტიობას მთავარ კოზირად გადააქცევს“**

გვ. 3

„ალასანიას და უსუფაშვილის თანამშრომლობა მოსალოდნელი არ არის“



**„რუსეთი საქართველოში რელიგიური დაპირისპირებისთვის ნიღაბს აგზალებს“**



გვ. 5

## მამუკა ტუსკაძე: „პოლიცია პირდაპირ ეთერში დამაკავა“



გვ. 4

„ისევ იმ იზოლატორში მოვხვდი, რომელშიც 2010 წელს ჩამსვეს“



**შრომის ინსპექტირება სავალდებულო გახდება**

გვ. 6

ISSN 1987-9385  
9 771987 938006



გვ. 6

**2017 წლის ბუკისტულ სეზონზე აჭარაში სტუმრებს ხარისხის ნიშნის მქონე ბილავი მოქმედებებიან**



გვ. 6

**მსოფლიოში ყველაზე ძვირი უძრავი ქონება მონაკოშია, მოსახლეობისთვის სელეუნიუმის კი, პონკონგში**



# ამერიკა საქართველოს პარტნიორია და არა — როგორც ხელისუფლების



საქართველოს სალად მოაზროვნე მოსახლეობა ერთხმად თანხმდება, რომ გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა პრემიერ კვირიკაშვილის ამერიკაში ვიზიტი იყო.

— პრეზიდენტ ტრამპთან შეხვედრა ნამდვილად არ არის მასხრობა საქმე, — ასე თქვა რიგითმა თბილისელმა პენსიონერმა.

„დონალდ ტრამპი — რუსეთისგან საქართველოს დამცველი“ — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ფრანგული გამოცემა და აღნიშნავს, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო მოქმედებებისთვის არც ბუშისა და არც ობამას ადმინისტრაციებს ოკუპაციის კვალივცაა არ მიუხედავად.

— ვაშინგტონში მიღებულ ბიუჯეტის 700-გვერდიან დოკუმენტში ნახსენებია ამერიკიდან ასე შორეული საქართველოც. შესაძლოა, მოსკოვმა ეს ტექსტი ტრამპის ადმინისტრაციის კიდევ ერთ არაორდინარულ ნაბიჯად შეაფასოს, რომელიც კრემლის გაოცებას არ წყვეტს. ტექსტში ნახსენებია რუსეთის მხრიდან

საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია. შესაბამისად, კანონმდებლობა კრძალავს ნებისმიერი სახის პროექტის დაფინანსებას თუ მხარდაჭერას, რომელიც აღიარებს ოკუპაციას და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

დოკუმენტს, რომელიც ამერიკის კონგრესმა და ნარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცეს, დონალდ ტრამპმა ხელი 6 მაისს მოაწერა. და ეს ხდება იმ პრეზიდენტის მიერ, რომელიც წინასწარწვევით კამპანიის დროს კრემლთან ყირიმის შესაძლო აღიარების საკითხის განსახილველად ციკლში იყო, — ნათქვამია სტატიამ.

პარტია „რეფორმატორების“ თავმჯდომარე ირაკლი ლლონტი გიორგი კვირიკაშვილის და აშშ-ის პრეზიდენტის შეხვედრას დადებითად

აფასებს და აღნიშნავს, რომ ამერიკამ ყურადღება მიაპყრო რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის ადრესატ ქვეყნებს.

— აშშ მთავარი აქტორია მსოფლიო პოლიტიკაში და აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას ოკუპანტის ზღვარგადასული იმპერიალისტურ-შოვინისტური ვენებების წინააღმდეგ.

ცხადია პოზიტიური ფაქტია გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრა დონალდ ტრამპთან, იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება გამოიჩინებს კეთილგონიერებას, გაწყვეტს ეროვნულ ინტერესებს, გაემიჯნება კრემლის დირექტივებს და თუ ვერ შეძლებს ამ უკანასკნელისგან გათავისუფლებას, შეეახსენებთ, რომ ამერიკა საქართველოს პარტნიორია და არა — ცალკე აღებული რომელიმე ხელისუფლების, — აღნიშნავს ირაკლი ლლონტი.

## ირაკლი კობახიძე: „პარტნიორებს ჩვენს დიპლომატიკურ კავშირს“

საკონსტიტუციო განხილვები ამ კვირაშიც გაგრძელდა და, ალბათ, სანამ არ გადადის და მთავრობა რეგინგში სიარულით არ დაიღვება, კიდევ გაგრძელდება.

მოსახლეობის თვალის ახვევის მიზნით, პარლამენტის აპლამში მრავლად არიან ოპოზიციონერი დეპუტატებიც. ცოტა საეჭვოა, რომ დარბაზში მჯდომი მოსახლეობა კონსტიტუციის პუნქტებში ისე იყოს გამეცადინებული,



რომ მომხსენებელს რამე ჩაუსწოროს. არ შეიძლება არ აღინიშნოს პრეზიდენტ მარგველაშვილის რჩინის ნერვები. 12 მაისს პარლამენტის თავმჯდომარეს მან მხიარული რეპლიკა ესროლა — კონსტიტუციაში ისე მამეცადინე, დიპლომატიკურ კავშირს.

კობახიძემ ზემოთხსენებულს არ მიიღო — „დიპლომატი არ ეკუთვნის, ჩემგან, ყოველ შემთხვევაში“ — ასეთი იყო პარლამენტის თავმჯდომარის პასუხი.

მოკლედ, პრეზიდენტი ამ ქვეყანაში ავი სიდედრის ოჯახში მცხოვრები სიძესავით არის, მისი არც ზემოთხსენებულ მონონთ და არც — გაკეთებული საქმე კობახიძემ პრეზიდენტს დაქვემდებარებული უშიშროების საბჭოც დაინუნა და მას უაზრო უწოდა.

— ვენეციის კომისიის ექსპერტები პირდაპირ გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი უაზრობა არ შეიძლება ენეროს კონსტიტუციაში, რომ უშიშროების საბჭო პრეზიდენტს აძლევს რჩევას ისეთ საკითხზე, რაც არის მთავრობის კომპეტენცია. მაშინ არ გაიზარა ხელი-სუფლებამ და ვიცით რატომაც, დღეს ამ უაზრობას ვასწორებთ, — განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება მთავარსარდლის სტატუსს, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე დღეს ბევრი სპეკულაცია მიმდინარეობს და საზოგადოებას ხშირად არასწორი ინფორმაცია მიეწოდება.

— მთავარსარდლი არ ნიშნავს იმას, რომ მას ექვემდებარება სამხედრო ძალები. დღესაც, მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტმა რომ გასცეს ბრძანება სამხედრო ძალებზე, ეს ბრძანება არ შესრულდება, — აღნიშნა კობახიძემ.

## საბერძნეთში დიანა ბერიძის მკვლელობის უსნობი დატალღა გამოჩნდა

საბერძნეთში მოკლული ქართველის, დიანა ბერიძის საქმეში ახალი დეტალები ხდება ცნობილი.

38 წლის ანგიოქიურგის სახელმწიფო პროკურორმა და შს სამინისტროს გამომძიებელმა ბრალდება წარუდგინეს. ბრალდებულის ადვოკატი კი აცხადებს, რომ ამ სამართლებრივი ქმედების წინააღმდეგ აპელაციას შეიტანს.

ანგიოქიურგმა ბრალდებულის უარყოფა ცადა. მისი ვერსიით, 3 შევილი დედის რეალურმა მკვლელობა ის ხაფანგში გააბა.

ექიმმა აღიარა, რომ იანვარში ფეისბუქში დაუმეგობრდა დიანა ბერიძე-მაცაცადეს, თუმცა მათ შორის მინერ-მონერა თებერვლიდან დაიწყო. მან კატეგორიულად უარყო, რომ



მსხვერპლთან ინტიმური კავშირი ჰქონდა, მეტიც, აღნიშნა, რომ პირველ კონსულტაციაზე დიანა ბერიძე მუულღესთან ერთად იყო მოსული.

ექიმი ამბობს, რომ 26 აპრილს, თრომბოფლემიტის პროფილაქტიკური ოპერაციის მიზნით, პაციენტთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, მაგრამ

ბოლო მომენტში ის დიანა ბერიძე გააფრთხილა, რომ ვერ მივიდოდა.

სწორედ ამაზე ამაყრებს საკუთარ ვერსიას ანგიოქიურგი, როცა ხაზს უსვამს, რომ სატელეფონო საუბრისას ქალს აღეგებულ იქნა ჰქონდა და, შესაძლოა, უკვე იმყოფებოდა სასიკვდილო საფრთხის ქვეშ.

## ზურაბ პოლოლიკაშვილი მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახდა

საერთაშორისო ორგანიზაციის წამყვან მმართველ თანამდებობაზე საქართველოს კანდიდატურის არჩევა ხაზს უსვამს საქართველოს როლს და მის მისწრაფებას წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მმართველობის განხორციელებაში.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ზურაბ პოლოლიკაშვილის არჩევა ასევე წარმოადგენს საქართველოს საზოგადოების მხარდაჭერას ტურიზმის სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების კუთხით.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრ-ქვეყანას მხარდაჭერისთვის, გულითადად ულოცავს ელჩ ზურაბ პოლოლიკაშვილს ამ გამარჯვებას და წარმატებებს უსურვებს მისი ახალი, მნიშვნელოვანი მისიის განხორციელებისას, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

პრემიერმა კვირიკაშვილმა ამ ფაქტის მიმართ სიხარული არ დამალა.

— ძალიან დიდი წარმატებაა მთელი ქვეყნისთვის ზურაბ პოლოლიკაშვილის გამარჯვება გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე. ეს არის ძალიან დიდი შესაძლებლობა, წარმოვაჩინოთ



ჩვენი ქვეყანა მსოფლიო მასშტაბით ყველას ვულოცავ ამ ძალიან დიდ წარმატებას ჩვენი ქვეყნისთვის, — განუცხადა კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს.



ენდიის უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, 2016 წლის ნოემბრის შემდეგ ევროკავშირის მხარდაჭერა 71 პროცენტთან 80 პროცენტამდე გაიზარდა.

წინა კვლევების მსგავსად, ევროკავშირის მხარდაჭერა შედარებით დაბალია უფროსი ასაკის ადამიანებში

ამ კვირაში მოსახლეობის აღწვთების მიზნით მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის საქართველოში „შემოპარვა“ გახდა. ლუჟკოვმა მოილოცა ტაძრები, მოინახულა ახლობლები და ბოლოს ისეთი რამე დააბრუნა, ყველაზე ერთგულ რუსეთში მსგავსად გაუხეთქა სათუთი გულები.

— საქართველო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გარეშე უკეთესად იქნება, — გვასწავლა დიდმა იურიმ.

მხოლოდ ამის შემდეგ გაუღვიძა საქართველოს ხელისუფლებას და გა-

## ევროკავშირის მხარდაჭერა 80%-მდე გაიზარდა

(70 პროცენტი, მაშინ როცა ახალგაზრდებს შორის ეს მაჩვენებელი 84 პროცენტია) და ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში (54 პროცენტი).

ევროკავშირში წევრობის სურვილი, ძირითადად, ეკონომიკური და დასაქმებასთან დაკავშირებული ფაქტორებითაა განპირობებული, თუმცა განხორციელების მხარდაჭერებს ასევე მიაჩნიათ, რომ წევრობა საქართველოს უსაფრთხოებასა და დემოკრატიაზე გა-

აძლიერებს. მათგან ვინც არ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ წევრობა რუსეთთან კონფლიქტს გამოიწვევს, ხოლო მეოთხედს (24 პროცენტი) სჯერა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნის ეროვნულ იდენტობას შეაუსუსტებს.

მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (92 პროცენტი) ინფორმირებულია ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო

მიმოსვლის შესახებ, თუმცა ეს მაჩვენებელი დაბალია უმცირესობათა დასახლებებში (64 პროცენტი).

უმრავლესობის აზრით (78 პროცენტი), უფრო მიმოსვლის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობა ფინანსურად ვერ გასწავდება ევროკავშირში მონაზურობას. უმრავლესობა, 64 პროცენტი, ასევე ამბობს, რომ უფრო მიმოსვლის წესებისა და პროცედურების შესახებ საკმარისი ინფორმაცია აქვს.

## ლუჟკოვი: „საქართველოში გაიზარდა ჩვენი რეპუტაცია“

მოაცხადა, რომ ლუჟკოვის სავსე სიაში შეიყვანა. მოსკოვის ყოფილი მერის ეს ამბავი სიცილადაც არ იყო.

— ჩემს საყვარელ საქართველოში სექტემბერში კიდევ ერთხელ ვაპირებ ჩასვლას. დაპატიჟებული ვარ ჩემი ახლობელი ქართველის შვილიშვილის ქორწილში. მინდა, რომ მეუღლესთან, ოჯახთან ერთად ვნახო ქართველი ქორწილი. ეს საინტერესოა, ეს ყოველთვის მასშტაბური და ლამაზია. თუკი ეს არ



გამოვა საქართველოს ხელისუფლების ქმედებების გამო, ვფიქრობ, რომ დავუცდით სხვა დროებს, ისინი აუცილებლად იქნება და ასეთ ველურ გააღმტკიცებლობას საქართველოს ხელმძღვანელობს არ მიიღებს და არც უნდა მიღოს, — განუცხადა „რია ნოვოსტის“ ლუჟკოვმა. რაღა დაგვრჩენია, დავულოლოთ სექტემბერს და ჩვენი ხელისუფლება რა „კაი ბიჭობასაც“ გამოიჩინებს, გეც გამოჩნდება.

**ახალი თაობა**

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი  
 მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი  
 რედაქტორი — ლალი ალაღინაშვილი  
 რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები  
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი  
 საფინანსო სამსახური — ვლარა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55  
 გაფორმების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი  
 დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკამათებულნი — ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქოძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. №50, მე-3 სართული.  
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91  
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციამი შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# ნიკა რურუა: „ოცნება“ რას უფრო ჩაბუირდება კონსტიტუციაზე, მით უარესი იქნება მისთვის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რურუა პასუხობს.

– ბატონო ნიკა, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო განხილვა რეგიონებში აქტიურად გრძელდება, რომელშიც თქვენ არ მონაწილეობთ.

– როგორ არ ვმონაწილეობთ, ჩვენ არ ვმონაწილეობთ „ოცნებასთან“ ერთად, თორემ ჩვენ დამოუკიდებლად ვხვდებით მოსახლეობას.

– სწორედ ის ვიგულისხმებ, რომ ამ კომისიაში არ ხართ. როგორია თქვენი შეფასება ამ საყოველთაო განხილვებთან დაკავშირებით?

– ეს ძალიან სასიხარულო და ძალიან ცუდი ენ. ცვლილებებია. რეალურად ეს ცვლილებები კი არ არის, ისინი მთლიანად ახალ კონსტიტუციას გვთავაზობენ და აკეთებენ ამას ჩუმად, ყოველგვარი კონსენსუსის გარეშე. ასე როგორ შეიძლება! კონსტიტუცია საყოველთაო ინსტიტუტია და უნდა იყოს ხალხთან შეთანხმებით გაკეთებული.

– ხომ მიმდინარეობს საყოველთაო შეხვედრები მოსახლეობასთან?

– არ არის ეს საყოველთაო განხილვა, ეს ტყუილია!

– აბა რა არის?

– ეს არის მოყვანილი ხალხი და ეს არის სპექტაკლი, ფარსი! ვითომ საყოველთაო არაფერი საყოველთაო განხილვა არ ხდება. რაც მთავარია, ეს განხილვა არაფერს არ ცვლის. ეს არის ტყუილი. ისინი არანაირ კომპრომისზე არ მიდიან. ანგრევენ პრეზიდენტის ინსტიტუტს და კიდევ ძალიან ბევრ ცუდ რამეს სთავაზობენ ქვეყანას, რაც მიუღებელია დემოკრატიული მმართველობისთვის.

– ამ განხილვებში მონაწილეობენ პრეზიდენტი, ოპოზიციური პარტიები და რა გამოდის, ყველა ერთად იტყვიან? ჩვენ ხომ ვხვდებით საკმაოდ მწვავე დისკუსიებს?

– ეს მათი საქმეა ამ ფარსში მონაწილეობა. მე პრეზიდენტის მაგივრად არ მინდა ლაპარაკი და არც – ოპოზიციური პარტიების. მიზეზი ჰქონდა მათ, რატომ მონაწილეობენ. მე და ჩემი თანაპარტიელები ვფიქრობთ, რომ ეს ფარსია და ამაში მონაწილეობას არ მივიღებთ!

– რა არის ცუდი და სასიხარულო კონსტიტუციის ახალ ვარიანტში?

– ძალიან ცუდ კონსტიტუციას მივიღებთ. ეს ერთპიროვნული მმართველობის დამკვიდრების მცდელობაა. აუქმებენ პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევის წესს, არადა ეს უფლება ხალხს აქვს დამოუკიდებლობის დღიდან. ამ უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება. ხალხს ართმევენ ამ უფლებას და ვიღაც 300 ხმოსანს ანიჭებენ. ეს რას ნიშნავს?!

– რას?

– ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი იქნება ყურმოჭრილი მონა, მორჩილი აღმასრულებელი ხელისუფლებისა. დღეს პრეზიდენტი ბალანსირების, შეკავების ერთ-ერთი უკანასკნელი გარანტიაა ქვეყანაში. გარდა იმისა, რომ მას კიდევ სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, როგორც არის მთავარსარდალი, როგორც არის შეწყალების უფლება, როგორც არის პარლამენტის დათხოვის უფლება გარკვეულ შემთხვევებში და ა.შ.

ძალაუფლების დანაწილების მექანიზმის გარეშე დემოკრატია არ არსებობს. სწორედ ამიტომ არსებობენ სხვადასხვა შტოები. აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო – ეს არის დემოკრატიის მონაპოვარი. ახლა ამას აუქმებს ხელისუფლება და ყველაფერს უყრის ერთ თავის მორჩილად აგრესიულ საპარლამენტო უმრავლესობის ხელში. ეს არ შეიძლება. ეს ქვეყნისთვის არის ცუდი. ეს მათთვის ცუდია, ვინც ამ ძალაუფლებას ეპოტინება. ამის გაკეთება არ შეიძლება. ეს უფუნურება!

– ნაციონალურმა მოძრაობამ პრეზიდენტის ინსტიტუტს დაასუსტა. იყო თუ არა ეს თქვენი შეცდომა?

– შეიძლება იყო, მაგრამ ის სისტემა, რომელიც დღეს არის და მუშაობს, ეს მუშა სისტემაა, შერეული სისტემაა. ასეთი სისტემები უამრავ ქვეყანაში მუშაობს. მათ შორის ბალტიის ქვეყნებში. ამიტომ, ეს არის მუშა სისტემა, რომელიც ძალაუფლების დანაწილებას ახერხებს და ურთიერთკონტროლს და შეკავების მექანიზმს აცოცხლებს. ამის გაუქმება კი იქნება ძალიან ცუდი ყველასთვის და ყოველგვარ ლეგიტიმურობას იქნება მოკლებული.

დემოკრატია არის სისტემა, სადაც უმრავლესობა მართავს, მაგრამ უმცირესობის ინტერესებიც არის გათვალისწინებული. ამ ახალი კონსტიტუციით, იქნება უმცირესობის მართვა უმრავლესობის ინტერესების სრული იგნორირებით. ანუ ორმაგად არადემოკრატიულ რეჟიმს ვიღებთ. არა უმრავლესობის ინტერესები, უმცირესობის ინტერესები იქნება თავსმოხვეული ყველაზე და უმრავლესობის ყველაზე იგნორირებით იქნება უგულებელყოფილი.

– საარჩევნო კანონმდებლობასაც გულისხმობთ?



– საარჩევნო კანონმდებლობასაც გულისხმობ, ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებასაც, ბარიერის 5%-იანად დაბრუნებასაც გულისხმობ და დანარჩენ ყველაფერს. უამრავი მინუსია იქ და ბევრ მათგანზე საუბარიც კი არ მიღის.

პარტიების მანდატები, რომლებიც 5%-იან ბარიერს ვერ გადალახავენ და ასეთი ბევრი იქნება, მთლიანად მმართველ ძალას რჩება. თავისი მცირე ხმებით და პლუს ამ მანდატებით ის შექმნის საშინელ უმრავლესობას, რომელიც მას არ მიუღია. ეს არის ძალაუფლების მითვისება. ამას დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. ეს იქნება წინაპირობა უამრავი უფიცი, არაკომპეტენტური და დაუბალანსებელი გადაწყვეტილებისა. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ საქმე გვაქვს ძალაუფლების მიტაცების მცდელობასთან.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ დამოუკიდებლად მართავთ შეხვედრებს. თუ გისმენთ მოსახლეობა და რამდენად გაქვთ იმედი, რომ ამით შეცვლით ვითარებას?

– ჩვენ აქტიურად ვხვდებით მოსახლეობას და კიდევ არაერთი ასეთი ღონისძიება იგეგმება და ეს გაგრძელდება იქამდე, სანამ ეს მანვე წამოწყება არ იქნება შეჩერებული.

– „ოცნების“ მხრიდან წმინდა პრეზიდენტის კრიტიკა. როგორც ბესელა აცხადებს, პრეზიდენტს მგონია, პირადად მის გამოსვლით კონსტიტუციის მიუღღის მარგველაშვილს ბრალი ამ ყველაფერში?

– პირადად პრეზიდენტი მარგველაშვილი ამ ყველაფერთან არაფერ უშავს არ არის. პრეზიდენტის ინსტიტუტს ანგრევენ, თორემ ამ პრეზიდენტთან მათი ანგარიშები სულ არ არის საინტერესო. მარგველაშვილი მათი ყოფილი თანაგუნ-

დელია და არა ჩემი! ესენი მიადგნენ და მიზანმიმართულად ანადგურებენ ძლიერ ჩამოყალიბებულ პრეზიდენტის ინსტიტუტს საქართველოში. ართმევენ ხალხს უფლებას, საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი აირჩიონ. ეს წარმოუდგენელია!

– გაქვთ იმედი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, იგივე ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ ეს ხელისუფლება?

– ივანიშვილის ფაქტორია აქ მთავარი. ის ყველაზე მდიდარი კაცია ამ ქვეყანაში, ის არაფორმალურად მართავს ქვეყანას. ყველა გვახსოვს, ღარიბაშვილი ისე მოიხსნა, რომ თვითონ არ იცოდა ღარიბაშვილმა. სანამ ივანიშვილის ფაქტორია რჩება, არანაირად არ შეიძლება ხალხისთვის პრეზიდენტის არჩევის უფლების ჩამორთმევა. დღეს ივანიშვილი მთლიან კომფორტს იწყობს თავისთვის.

– იმის თქმა გინდათ, რომ ივანიშვილზე მორგებული კონსტიტუცია იწვევს?

– არა თქმა უნდა! ივანიშვილზე, ერთ პოლიტიკურ პატარა დაჯგუფებაზე, „ქართულ ოცნებაზე“, რომელსაც უნდა, რომ ყველაფერი ხელში ჩაიგდოს.

– რამდენად გამოუვათ?

– პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო ჩაბუირდება, რაც უფრო მაგრად მიანევიან ამ ცვლილებების გატანას, უარესი იქნება მათთვის. მით უფრო მწარე იქნება ის რეალობა, რაც მათ დაუდგება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან ცუდ რამეს აკეთებენ! უმცირესობა ცდილობს ყველაფრის ხელში ალღებას უმრავლესობის ხარჯზე და ეს ძალიან ცუდად დამთავრდება!

ნათია ხურცილავა

## რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი თავის უპარტიოებას მთავარ კოზირად გადააქცევს“

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი  
ხამაზ საყვარელიძე  
მიმდინარე პოლიტიკის  
პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო რამაზ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ რამდენად არის მოსალოდნელი პოლიტიკურ პარტიებში გადაჯგუფებული? ამბობენ, რომ არ არის გამორიცხებული, დავით უსუფაშვილსა და ირაკლი ალასანიას მოლაპარაკებები მკონდეთ პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

– კონსტიტუციის ახალ რედაქციაში არსებობს ჩანაწერი, რომელიც პოლიტიკური ბლოკების აკრძალვას ეხება. თუ ეს კანონი ძალაში შევიდა, მაშინ ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ახალი პოლიტიკური პროცესების მოწმენი გაგზავნის.

– კონკრეტულად?

– ეს იქნება პოლიტიკური პარტიების გამსხვილების დიდი ბიჭი. თუ ეს ჩანაწერი ამოქმედდება ამ არჩევნებისთვის, მაშინ ეს პროცესი უფრო დაჩქარდება, თუ მისი ამოქმედება გადაინეწვს, მაშინ ეს პროცესიც გადაინეწვს. ერთ-ორკაციანი პარტიები ვეღარ იარსებებენ, რასაც გაცნობიერებენ ეს პარტიები და გარდაუვალია პარტიების გამსხვილების პროცესი.

კონკრეტულად ვინ ვისთან შეიძლება გაერთიანდეს, ეს უკვე მეორე ეტაპი იქნება, ალბათ ეს დამოკიდებული იქნება გარკვეულ მონათესავე იდეოლოგიაზე თუ სხვა მასასიათებლებზე.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს უსუფაშვილისა და ალასანიასთან დაკავშირებით, რამდენად ვიცით, ირაკლი ალასანია საქართველოში არ იმყოფება, ის უცხოეთშია. და-

ალასანიას და უსუფაშვილის თანამშრომლობა მოსალოდნელი არ არის“

– როგორ დაელოდება, რა იქნება ეს ხელსაყრელი დრო მისთვის, ვერ გეტყვით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

რაც შეეხება ახალ სახეებს, მათი გამოჩენა უფრო არის მოსალოდნელი. ეს ახალი სახეები ახალგაზრდები იქნებიან და უკვე არის გამოკვეთილი, ვინ შეიძლება ეს ახალგაზრდები იყვნენ.

– ვინ შეიძლება იყვნენ?

– ისინი უკვე ჩანან და იცავენ სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მუშებს, მათ შორით უფლებებს, იცავენ გარემოს. ხმაურიანი საპროტესტო აქციებიც აქვთ ახალგაზრდული შემოთხები. ვგულისხმობ „აუდიტორია 115“-ს, ახალგაზრდა „მწვანეებს“ და ა.შ.

– სტუდენტური აქტივობები შეიძლება დიდი პოლიტიკის საფუძველი გახდეს?

– რატომაც არა.

– ერთგვარ პარალელს ავლებთ ეროვნული მოძრაობის დროს სტუდენტურ აქტივობებთან?

– მაშინ ეროვნულ მოძრაობას სტუდენტური მოძრაობა ძალიან დიდ მუხტს და ძალას მატებდა. ის თაობა მოვიდა მაშინ ქართულ პოლიტიკაში. ასე რომ, ეს არ არის უცხო პოლიტიკისთვის. თეორიულად ასეთი შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ, სხადია, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

– ახალი ძალის, ახალი სახეების რეალური მოთხოვნა არსებობს და ამას არაერთი სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს. ორპარტიული სისტემა მთლად მისაღები არ არის

ამომრჩევლისთვის. ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ ახალი ძალის რეალური მოთხოვნა არსებობს.

როდესაც ასეთი დაკვეთა არსებობს, მაშინ მის გამოჩენასაც წინ ვერაფერი დაუდგება. როდესაც ასპარეზზე გამოდის, უნდა შეარჩიო ზუსტი დრო. 2012 წელს ასეთი ზუსტი დრო შეარჩია ბიძინა ივანიშვილმა. მან ძალიან წარმატებული პოლიტიკური სვლები გააკეთა, მაგრამ დროც ზუსტად იყო შერჩეული.

– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა განაცხადა, რომ არ აპირებს პარტიის შექმნას, რომ პარტიული ცხოვრება არასახიზობი იზიდავდა და პარტიის გარეშე ყოველთვის იყო აქტიური პოლიტიკაში. გამოდის, ვადის ამონურვის შემდეგ პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს?

– როდესაც მარგველაშვილს ჰქონდა ვადის ამონურვის შემდეგ აპირებს თუ არა სახლში წასვლას, მაშინ მას უპასუხა, – არა, არ აპირებს სახლში წასვლას. ამიტომ არ გამოვირცხავ, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტ მარგველაშვილის ესა თუ ის პასუხი განწყობით იყოს მხოლოდ ნაკარნახევი და არა – მიღებული გადაწყვეტილებით.

– პრეზიდენტი ვერ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული?

– დიახ, ჩანს, რომ ვერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული. მარგველაშვილი ფიქრობს!

– როგორი შეიძლება იყოს ეს გადაწყვეტილება?

– მე არ გამოვირცხავ, რომ მან

მეორე ვადით იყაროს კენჭი. ჯერ ერთი, ახალგაზრდა კაცია, მეორე, გონება უჭრის, პოლიტიკურად აზროვნებს. თუმცა, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. რაც შეეხება პარტიის შექმნას, მართლაც არ მგონია, რომ პარტია შექმნას.

– თუნდაც მისი ბუნებიდან გამოდინარე? მან თქვა, რომ თანამოაზრეები უკვე ჰყავს.

– დიახ, თუნდაც აქედან გამომდინარე. თანაც, მეორე ვადით რომ იყაროს კენჭი, ამისთვის სულაც არ სჭირდება პარტიის წარდგენა. ასეთ რამეს კანონმდებლობა მარგველაშვილს არ ავალდებულებს.

– თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა, პარლამენტის თავმჯდომარემ მას უკვე უთხრეს, რომ მეორე ვადით ვეღარ გახდება პრეზიდენტი.

– ასე არ ფიქრობს მარგველაშვილი. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია, რომ საარჩევნო ცხოვრება ვადის ამონურვის შემდეგ მან პოლიტიკაზე უარი თქვას.

– მარგველაშვილმა კარგად იცის, რომ პარტიული პოლიტიკა მომგებიანია არ არის საქართველოში. პარტიებისადმი ადამიანებს ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ, ის ეცდება, რომ მისი უპარტიოება და ის განცხადება, რომ ის არის ნეიტრალური, ყველა პოლიტიკური პარტიისგან დისტანცირებული, მისთვის მომგებიან პოზიციადაც აქციოს. ვნახოთ, რამდენად გამოუვა.



# „რა გზავნილი შეგოთვალა ტრამპმა საქართველოს კვირიკაშვილის პირით“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ბოლოდროინდელ მოვლენებზე ესაუბრა საქართველოს გადაჩენის მოძრაობის დირექტორი მიხიან მიხიანაშვილი.

## მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონიდან ჟანგბადის სხვა ულუფებიც წამოვა“



**მირიან მირიანაშვილი:**  
 — გიორგი კვირიკაშვილის მიწვევა ამერიკაში წინ უძღოდა სერგეი ლავროვის ვიზიტს ვაშინგტონში. ამერიკასთან კავშირები მაქვს. ვიცი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მზადების ნიუანსები.  
 აშშ-ის სენატსა და სახელმწიფო დეპარტამენტში შეთანხმდნენ, რომ რუსეთის მთავარი დიპლომატის პარალელურად, ამერიკაში ჩავიდოდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მთავარი მონინალმდეგები — საქართველოსა და უკრაინის მაღალჩინოსნები. ამით მსოფლიოს დაუმტკიცებდნენ, რომ რუსეთთან დათმობას არ აპირებენ.  
 თავდაპირველი ჩანაფიქრით, საქართველოდან და უკრაინიდან ჩავიდოდნენ პრეზიდენტები. საბოლოოდ, პრეზიდენტების მიწვევა გადაიფიქრეს. სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა ჩათვალა, რომ პოროშენკოს ჩასვლა მეტისმეტად მჭახე ნაბიჯი იქნებოდა. ამიტომ, გადაწყდა, რომ ამერიკაში საქართველოდან წავიდოდა პრემიერი, უკრაინიდან — საგარეო მინისტრი. გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი წინ უსწრებდა ლავროვისას, უკრაინის მინისტრისა კი მას მოსდევდა.  
 — ამით ვაშინგტონმა რუსეთს

**საქართველოსა და უკრაინისადმი ამერიკის სოლიდარობა აგრძნობინა?**  
 — რა თქმა უნდა. რუსეთს აქვს პრეტენზია, გავლენა დაამყაროს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე. საქართველო და უკრაინა მისი მთავარი მოწინააღმდეგეები არიან. დონალდ ტრამპი პირადად შეხვდა საქართველოს პრემიერსაც და უკრაინელ მინისტრსაც. მან გიორგი კვირიკაშვილს ერთი საყურადღებო ფრაზა უთხრა. აშშ-ის პრეზიდენტმა პირადად გამოხატა ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. ამ განცხადებით ადრესატი იყო არა მარტო საქართველო, არამედ, რუსეთიც.  
 — ბოლო დროს ამერიკაში საქართველოს მხარდამჭერი კონგრესული გადამწყვეტილებებიც მიიღეს.  
 — დიახ. ესაა ჩვენთვის ჟანგბადის ულუფა. ვაშინგტონიდან ჟანგბადის სხვა ულუფებიც წამოვა. საერთოდ, ტრამპის მოსვლის შემდეგ რუსეთის ანტიქართული მოქმედებები შესუსტდა.  
 — ხომ არ აჭარბებთ? რუსეთის აგრესია გრძელდება.  
 — არ გაჭარბებ. საოკუპაციო ზონის გადმოწვევას ისეთი მასშტაბური ხასიათი არ აქვს, როგორც მანამდე

ჰქონდა. გარდა ამისა, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში შენეულა ანტიქართული კამპანია.  
 — **9 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალში გაიმართა ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი ახალ სახელწოდებაზე. რუსულ პრესაში კი დაინერა, რომ რუსეთმა ცხინვალის რეგიონის მიერთება უნდა იჩქაროს.**  
 — ეს იყო სიგნალი ამერიკისთვის. რუსეთს აინტერესებდა ამერიკის რეაქცია.  
 — **ამ ვიზიტამდე საქართველოში რუსეთის მხრიდან ნაცადი სცენარის გათამაშებას ვარაუდობდით. ახლა სიტუაცია შეიცვალა?**  
 — რუსეთი უფრო ფრთხილი და მოზომილი იქნება.  
 — **საქართველოში ჩამოსული ლუგოვსკის გამომწვევი განცხადებები მისი პირადი მოსაზრებებია?**  
 — ეს ვერ იქნება მხოლოდ მისი მოსაზრებები. მოსკოვის ყოფილი მერი საქართველოში ჩამოვიდა საქართველოს პრემიერის ამერიკაში ვიზიტის დროს. ვიოაჟისას მან განცხადებები გააკეთა რუსეთის ხელისუფლების დაეკუთვნა. ეს იყო გზავნილი ვაშინგტონისთვის. ამისთვის მოსკოვმა შეარჩია გავლენიანი კაცი, ყოფილი

მერი, რომელიც არ წარმოადგენს ხელისუფლებას. ლუგოვსკს აქვს მისი რეპუტაცია და ცხინვალის რეგიონი საქართველო არ არის. მისი ვიზიტი შეთანხმებული იყო ერთ-ერთ კაცთან საქართველოს მაღალ წრეებში. მიზანი ასეთი იყო — ამერიკაში უნდა ენახათ, რომ ამ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს არ აპროტესტებენ საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება.  
 — **სინამდვილეში, რეაქცია მწვავე იყო.**  
 — საზოგადოებაში იყო მძაფრი გამოხმაურება, მაგრამ ის არ გასცდენია თითო-ორი საინფორმაციო საშუალებას. ხელისუფლებას თავიდან ამაზე რეაქცია ფაქტობრივად არ ჰქონია. მოსკოვს იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიოში ეს რეზონანსს არ გამოიწვევდა.  
 — **მოგვიანებით იყო განცხადე-**

**ბებიც, ლუგოვიც სთუშაბათს შეეცა-სი შეიფიცანეს.**  
 — ეს დაგვიანებული და იძულებითი რეაქცია იყო. ესაა სიტუაციიდან თავის დაძვრის მცდელობა. ამას წინ უძღოდა ვაშინგტონის ჩვენთვის სასიცოცხლო ნაბიჯები. ვაშინგტონიდან წამოვა ჟანგბადის სხვა ულუფებიც. ბოლო წლებში რუსეთი გულდავდა საქართველოს ეკონომიკას.  
 — **როგორ?**  
 — მსხვილი და საშუალო ბიზნესი საქართველოში, ფაქტობრივად, რუსეთის ხელშია. ამ ობიექტებმა შეამცი-რეს თანხების შეტანა ბიუჯეტში. ამით სული ამოხადეს ჩვენ მოსახლეობას და საქართველოდან განდევნეს. მარტო შარშან ემიგრაციაში წავიდა ლამის 100 ათასი კაცი. აქედან უმრავლესობა არალეგალია. ამიერიდან საქართველო რუსეთთან ერთი ერთზე დარჩენილი აღარ არის.

# გამუკა ტუსაკაძე: „პოლიციამ პირდაპირ ეთერში დაგაკაპა“

გულიკო ბაღაძე

უფლებადამცველი გამუკა ტუსაკაძე 10 მაისს პარლამენტის წინ საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებული მენაბრეების აქციაზე დააპატიმრეს. უფლებადამცველს ერთი დამეშს თბილისის მთავარი სამმართველოს N 8 იზოლატორში გაატარებინეს, სადაც ის 7 წლის წინ სააკაშვილის რეჟიმმა მოათავსა.



## „ისევ იმ იზოლატორში მოვხვდი, რომელშიც 2010 წელს ჩამსვეს“

მაგუკა ტუსაკაძე, რომელმაც დაპატიმრებამდე მძიმე ოპერაცია გადაიტანა, აქციაზე საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მენაბრეების უფლებების დაცვას და მივიდა და წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდა.  
 ის, ახალ თაობასთან საუბრობს მისი დაპატიმრების გარემოებებზე და პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებას უკანონოს უწოდებს.  
 — **ბატონო მაგუკა, უკვე მეორედ დაგაპატიმრეს. 7 წლის წინანდელ დაპატიმრებასა და ახლანდელ დაპატიმრებას შორის განსხვავება არის, მაგრამ, სანამ ვისაუბრებდეთ თქვენი დაკავების გარემოებებზე, გვითხარით, როგორ იგრძენით თავი, როდესაც კვლავ წინასწარი დაკავების იზოლატორში აღმოჩნდით?**  
 — სხვათა შორის, ისევ იმ იზოლატორში მოვხვდი, რომელშიც 2010 წელს ვიყავი. 2010 წელსაც მე-8 იზოლატორში ჩამსვეს და ახლაც.  
 — **ნომერი 8 ცუდია თუ კარგი თქვენთვის? მე-8 ნომერი იყავით, ბატონო, ალიანსიდან პარლამენტის არჩევნებში კენჭს რომ იყრიდით, გლდანის მე-8 დაწესებულებაში იხდიდით სასჯელს.**  
 — ახლა მე-8 დაწესებულება ამცდა. ეს იმის დამსახურებაა, რომ წინა რეჟიმი და ახლანდელი რეჟიმი, როგორც და დედამიწა, ისე განსხვავდე-

ბა ერთმანეთისაგან. თუმცა, ორივე რეჟიმი უკვე.  
 — **რატომ არის რეჟიმი, რა ვითარებაში დაგაპატიმრეს?**  
 — ჩემი უკანონოდ დაკავების პირველი მტკიცებულება ის არის, რომ გზაკიდევაც რომ გადაგვეკეტა, ჩვენ ქალაქის თვითმმართველობიდან ნებართვა გვქონდა აღებული. აქცია იყო ფართომასშტაბიანი. როდესაც აქცია დასასრულს უახლოვდებოდა, ჩემი რეკომენდაციით, აქციის მონაწილეებმა პროკურატურისკენ გადასაცემად გადამწყვეტეს. გადაწყვიტეთ, ნავგელო წერილი და მიგვეწოდებინა პროკურატურისთვის ინფორმაცია, რომ დროულად გამოიძიოს საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებული მენაბრეების საქმე, დააყენონ საშეღლი ამ საქმის გამოძიებას.  
 — **დარღვევა რა იყო, რატომ უნდა დაგაპატიმრებოდა?**  
 — თუ ჩვენ რაიმეს ვარღვევდით, მათ შეეძლოთ, პარლამენტის მხარეს დაგვეკვებინათ, მაგრამ დაგვაკავეს მაშინ, როცა ქაშუეთისკენ წამოვედით, გადმოვედით ბოლომდე (მოძრაობის მცირეოდენი შეფერხება მოხდა, რაც დასაშვებია იყო, ჩვენ ამის ნებართვა გვქონდა აღებული და იგულისხმებოდა, რომ შესაძლებელი იყო, აქციას მცირეოდენი შეფერხება მოჰყოლოდა).  
 საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელობამ, რომელიც იმ წუთში იქ იყო, საერთაშორისო და ადგილობრი-

ვი ნორმების დარღვევით გასცა განკარგულება უფლებადამცველის დაკავების თაობაზე. ამის შესახებ ინფორმაციას უკვე საერთაშორისო პრესაც ავრცელებს. საერთაშორისო უფლებადამცველები, ჩვენი კოლეგები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ საქართველოში უფლებადამცველს აკავებენ, რომელმაც აქციაზე ორი დღით ადრე გაიკეთა მძიმე ოპერაცია.  
 — **ოპერაციის შემდეგ აქციაზე როგორ აღმოჩნდით?**  
 — აქციაზე იმიტომ ვიყავი, რომ იმ გაჭირვებულ ხალხს სჭირდებოდა ჩემი იქ დგომა. მათ სჭირდებოდათ, რომ მათი უფლებები დამეცვა. კადრებში ჩანს, რომ პირბადე მიკეთია. კადრებში კარგად ჩანს ჩემი დაკავების პროცესიც, როდესაც ინტერვიუს ვაძლევდი და მიეუთითებდი, რომ საპატრულო პოლიცია იქცეოდა ძალიან ცუდად. ჯერ არ მოგვცა გზის გამოკვეთის საშუალება, შემდეგ კი პროვოკაციულად მოგვცა გზის გამოკვეთის საშუალება, რადგან მიზნად ჰქონდა, შემდგომში მე დაგვაკვებინე. ინტერვიუს მიცემის დროს, ფაქტობრივად, პირდაპირ ეთერში დამაკავეს.  
 — **თქვენთან ერთად კიდევ დააკავეს მოქალაქეები.**  
 — დიახ, ჩემთან ერთად დააკავეს ორი ახალგაზრდა ბიჭი, აქტივისტი და ორი ქალი, საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულები. ქალები იმ დღესვე გაუშვეს, ჩვენ სამივე

გადაგვიყვანეს იზოლატორში.  
 — **მთელ ამ პროცესში საპროცესო ნორმები დაცული იყო?**  
 — როგორც იურისტი, გეუბნებით, რომ მთლიანად დარღვეული და აბსოლუტურად იგნორირებული იყო ყოველგვარი საპროცესო ნორმა.  
 — **რა განსაკვირია, ისევ სააკაშვილის დროინდელი პოლიციაა. უბრალოდ, პოლიტიკური ხელმძღვანელების მხრიდან მოქალაქეების დაზოცივისა და წაშლის დაშვება არ აქვს.**  
 — დიახ, განსხვავება ეს არის. დაკავებისას ხელბორკილები არ დამაღეს, მაგრამ, როცა უფროსი მოვიდა, პოლიციელებს უფლებადამცველებზე უთხრა, კრიმინალია, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევია და ხელბორკილები რატომ არ აქვს დადებული. მერე დამადეს ხელბორკილები. თუ საქმე არ ეხება ცემის ფაქტს, ოჯახურ ძალადობას, ხელბორკილები არ იხმარება.  
 — **ვინ ხელმძღვანელობდა პოლიციის ჯგუფს, რომელიც აქციაზე იყო?**  
 — ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი.  
 — **ანუ ასე აღმოჩნდით თბილისის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების მე-8 იზოლატორში?**  
 — დიახ, ზუსტად იქ, სადაც 7 წლის წინ მომათავსეს.  
 — **იმედია, ფიზიკურად არ შეგხებია.**  
 — ფიზიკურად არ შემხებია, მაგრამ დაკავების დროს ნაოპერაციები კაცი და ძიძგილობა...  
 — **ეუბნებოდით, რომ ნაოპერაციები იყავით?**  
 — ეუბნებოდა, რომ ნაოპერაციები ვიყავი, მაგრამ ვინ მოგისმინა. ნახეთ, რა მიქნეს ხელზე? ხელი დამიზიანეს.  
 — **მათი ნამოქმედარია? მანქანაში ჩასმის დროს დაგიზიანეს?**  
 — დიახ, სწრაფად უნდოდათ,

მანქანაში ჩავესვი.  
 — **რა ბრალდება გაქვთ წაყენებული?**  
 — ორი მუხლით მაქვს ბრალი წაყენებული — პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც სრულიად უკანონო ბრალდებაა. ჯერ ერთი, მიტინგი ნებადართული იყო, მეორე — არაფორმალური წინააღმდეგობის განწევა არ ყოფილა. დაკავების დროს წინააღმდეგობა კი არა, გამარბენინეს და ჩამაგდეს მანქანაში.  
 — **საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა რით გამოიხატა?**  
 — საზოგადოებრივი წესრიგი არ დაგვირღვევია, 1000 კაცი ვიყავით და მთელი საზოგადოება ამ ერთ აზრზე იყო. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დაზარალებულებს, რომ წვიმაში, ღამის 1 საათამდე თბილისის პოლიციის სამმართველოსთან ელოდებოდნენ ჩვენს გამოშვებას იზოლატორიდან.  
 — **სასამართლო დარბაზიდან როგორ გაგათავისუფლეს?**  
 — მარტივად, რაც გუშინაც უნდა მომხდარიყო. როგორც იურისტი, ვამბობ, რომ პროცესუალური ნორმები სრულიად დარღვეული იყო. არ გადმოუციათ ოქმი ანუ მტკიცებულებები არ გაგავიცივია. ჩვენც ვერ მოვახერხეთ მტკიცებულებების შეგროვება. ამიტომ სასამართლომ დააკავაყოფილა ჩვენს მხარის შუამდგომლობა და პროცესი გადაიდო 30 მაისს 2 საათისთვის.  
 — **რას აპირებთ 30 მაისზე?**  
 — 30 მაისამდე ჩვენ რამდენიმე აქციას ჩავატარებთ აუცილებლად. გავაგრძელებთ ბრძოლას იმისთვის, რომ სასამართლომ დაამკვიდრდეს საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მენაბრეებისა და ყველა დაზარალებულ-გაგრძელება მე-5 გვერდზე



# „რუსეთი საქართველოში რელიგიური დაპირისპირებისთვის ნიადაგს ამზადებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ დაიძაბა ვითარება მოხვსა და ბათუმში, რა პროცესებია მოსალოდნელი აჭარაში და კახეთში, რა პრობლემები შეიძლება შეგვიქმნან აზერბაიჯანთან? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**  
— არაკეთილმოწყობილი საქართველოში რელიგიური შუღლის ჩამოგდება რომ ცდილობენ, ამის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ვაცხადებდი. მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ამ მხრივ საფრთხეებია აჭარაში, ქვემო ქართლში, პანკისის ხეობასა და მთლიანად კახეთში.

პანკისში რამდენჯერმე იყო ამის მცდელობა. რამდენიმე კვირის წინ იქ ქრისტიანული სალოცავი დაანგრიეს. ეს კონფლიქტი აღარ გამწვავდა იმიტომ, რომ ადგილობრივმა უზუცესებმა და იმამმა მომხდარი დაგმეს.

მაშინ ეჭვი გამიჩნდა, რომ ეს ყველაფერი ვიზალიზირებული იყო და კავშირებული ამ დღეებში ბათუმში და მოხვში განვითარებული მოვლენების შემდეგ თამაშად შემოიღია ვთქვა, რომ ჩემი ეჭვი გამართლდა.

საქართველოში ნებისმიერი რელიგიური დაპირისპირების დაწყების მცდელობა პირდაპირ არის მიზნული ჩვენს საგარეო კურსთან — როგორც კი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ამერიკასა და ევროპაში სერიოზულ თემებს სასაუბროდ იწვევენ, მაშინვე თავს იჩენს ხოლმე რელიგიური პრობლემები.

**— თქვენ აზრით, ამ დღეებში მოხვსა და ბათუმში მომხდარი უთანხმოება აჭარაში გიორგი კვიციანიშვილის ვიზიტს უკავშირდება?**

— ეჭვიც არ მეპარება. მოხვში სალოცავ სახლზე ახლა შემთხვევით არ განახლებულა დაპირისპირება. არც ბათუმში მოუთხოვიათ კიდევ ერთხელ მეჩეთის აშენება შემთხვევით.

**— ეს მოთხოვნები ამ წლების მანძილზე გამუდმებით გვეხმის და თქვენ რატომ უკავშირებთ ამას აშშ-ში ჩვენი პრეზიდენტის ვიზიტს?**

— ეს ჩვეულებრივი, რიგითი მოთხოვნა რომ ყოფილიყო, ამ ვიზიტამდე ბევრად ადრე დადგებოდა დღის წესრიგში, ან რამდენიმე კვირის შემდეგ დააყენებდნენ ამ მოთხოვნას. ახლა პირდაპირ კვიციანიშვილის ვიზიტს ასევე დაემატა.

რამდენჯერმე ცხადეს ქვემო ქართლში ვითარების გამწვავებაც. აქამდე არაფერი გამოუვიდა, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთის ფლანგზე მიღებულ შედეგს, აქ კიდევ ერთხელ შეეცდებიან სასურველი შედეგის მიღებას. ამჯერად ერთმანეთთან ქართველი სუნიტებისა და აზერბაიჯანელი შიიტების დაპირისპირების მცდელობას ექნება აბსტილი.

— თქვით, რომ დაპირისპირების მცდელობები საქართველოს საგარეო კურსზეა მიზნული. აქედან გამომდინარე იოლი გამოსაცნობია, თუ რომელი ქვეყნის ინტერესში უნდა შედიოდეს ეს. დასავლურ ორიენტაციაზე საქართველოს ტრიალი ყველაზე მეტად რუსეთს არ აწყობს. ბათუმის და მოხვის ამბავიც რუსეთია გარეული?

— ბოლო დროს საქართველოს მიმართ დასავლური სტრუქტურების ინტერესი გაათმაგდა და არა იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ მოსწონთ. დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება, ასევე რადიკალური ისლამის აღზევება ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს ათჯერ, ხოლო საქართველებს ასჯერ მინც გაზრდის.

ამას რუსეთი იოლად არ შეეცდება და შეეცდება, საქართველო მისკენ შეატრიალოს, მაგრამ როგორ? აფხაზეთი და სამაჩაბლო ნაილო. დანარჩენ საქართველოზე დიდი გავლენა არა აქვს. თან მთელმა მსოფლიომ იცის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური კონფლიქტების უკან მოსკოვი დგას.

აფხაზეთი და სამაჩაბლო რაკი ვახსენე, აქვე გეტყვი, რომ მალე იქაც დაიწყება სერიოზული კონფლიქტები.

**— აქაც რელიგიური სახის კონფლიქტები დაიწყება?**

— ამ რეგიონებში კონფლიქტი ქონების გასხვივებას მოჰყვება. ამ საკითხზე აფხაზეთში უკვე დაწყებულია დაპირისპირება. ოკუპირებულ რეგიონებში კონფლიქტს მოსკოვი თბილისთან სავაჭროდ გამოიყენებს, მაგრამ ეს სხვა თემაა.

ახლა რუსეთი იმაზე ფიქრობს, როგორ გააძლიეროს საქართველოს ტერიტორიაზე პრორუსული ძალები სათავისოდ. ეკონომიკურ საკითხებზე ვერ დაგველაპარაკება, თავად არის კრიზისი და კიდევ უფრო გაუჭირდებათ. აქვე ერთი გამოსავალი — საქართველოს მოსახლეობა იმაში უნდა დაარწმუნდეს, რომ ისლამიზაციის საფრთხე არსებობს.

**— ეს პრობლემა ხომ რეალურად არსებობს?**

— არსებობს, მაგრამ რუსეთი სათავისოდ შეფუთავს ამ ამბავს. ყველაფერს გააკეთებენ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების მოსახლეობად, მერე ისეთ სურათს დასაბუთებენ, რომ საქართველო ისლამიზაციის გზას დაადგა. ამ დროს ასპარეზზე გამოვლენ პრორუსული ძალები და გეტყვიან, რომ ისლამიზაციის შესაჩერებლად „ურთმორწმუნე“ რუსეთია საჭირო. ამ თემებით მოსახლეობის რაღაც ნაწილს ალბათ მიაბრუნებენ თავისკენ.

**— საპირისპირო არგუმენტად არ გამოდგება, რომ „ურთმორწმუნე“ რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია მოახდინა?**

— ამ არგუმენტს საღად მოაზროვნე ხალხი გამოიყენებს, მაგრამ ჩვენში სხვანაირადაც აზროვნებენ. პრორუსულს აქვთ ასეთი ლოგიკა — უარი ვთქვათ დამოუკიდებლობაზე, შევიდეთ რუსეთში და აფხაზეთი სამაჩაბლოსთან ერთად დაგვიბრუნდება.

**— მოსკოვმა თქვა სადმე, თუ თბილისი დამოუკიდებლობაზე უარს იტყვის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგაბრუნებთ?**

— საქმეც ისაა, რომ ასეთი პირობაც არავის მოუცია. კრემლი პირდაპირ ამბობს, რომ მისი მიზანი საქართველოს ევრაზიულ კავშირში შეტრიალა. ამ კავშირს თავის მხრივ არც ფორმა აქვს, არც შინაარსი და არც ფული. ახლა კიდევ უფრო გაუჭირდებათ.

ტრამპის გადამწყვეტილებით, აშშ-მ ნავთობის მოპოვება განაახლა. ეს ნავთობის ღირებულებას 1 ბარელზე 26-28 დოლარამდე დასწევს. რუსეთს არა აქვს ის ტექნოლოგიები, რომ ამ ფასებს გაეკიდოს. მისი ნავთობმომპოვებელი კორპორაციების ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებები იძლევა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ 34-36 დოლარამდე დასწიონ ნავთობის თვითღირებულება.

ეს იმას ნიშნავს, რომ სანქციებს ნავთობში ჯანსაღი კონკურენცია დაემატება. ასე რომ, რუსეთი ძალიან მალე შევ დღეში იქნება. ქვეყნის შიგნით სერიოზული უთანხმოება დაიწყება. საგარეო ფრონტზე ისედაც უამრავი პრობლემა აქვთ.

**— შევ დღეში არიან და ისევ საქართველოში რაღაცების მოწყობას ცდილობენ?**

— საუბედუროდ, ჩვენთვის სულ სცალიათ, არადა მთელ მსოფლიოსთან არიან დაპირისპირებული. ამის შემდეგ პრორუსული კიდევ იმას ამტკიცებენ, რომ რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა. ამ ქვეყანაში მართლმადიდებლებიც ცხოვრობენ, მაგრამ პოლიტიკური ხელმძღვანელობის რელიგიური მიმდინარეობა გახლავთ სექტანტური.

სხვანაირად ვერაფრით ვუძებნი ახსნას იმას, რომ ქვეყნის დედაქალაქის ცენტრში დაუმარხავი კერები უნდა. აქ რომელ მართლმადიდებლობაზეა ლაპარაკი.

**— შენთვის, ისევ რელიგიური დაპირისპირების შესაძლო კერებს დავუბრუნდით. თქვენ არ გინახებიათ ჯავახეთი, სადაც ქართველების გარდა, ეთნიკური სომხებიც ცხოვრობენ. მართალია, ისინი ქრისტიანები არიან, მაგრამ არ არიან მართლმადიდებლები. ეკლესიებთან დაკავშირებით ქართველებსა და სომხებს შორის არაერთი დაპირისპირება მოხდა. რუსეთი ამ კარტს არ გაითამაშებს?**

— ყველამ კარგად იცის, რომ სომხეთის უკან რუსეთი დგას და ჯავახეთში რელიგიური ნიშნით დაპირისპირება ძალიან მარტივად გაგვიყვანს მოსკოვზე. რუსეთს სომხეთის ტერიტორიაზე 2 სამხედრო ბაზა აქვს. ეს ბაზები სასეგბით საკმარისია იმისთვის, რომ დანარჩენი კავკასია დაზიანონ რაკეტებით.

2008 წელს ერთ-ერთი ამ ბაზიდან დაიბომა ჩვენი ტერიტორია. დაბომბვა რუსებმა განახორციელეს. საჭიროების შემთხვევაში კიდევ გამოიყენებენ.

აქედან გამომდინარე ჯავახეთში რუსები ნაკლებად იაქტიურდებიან. მოსკოვი თავის სტრატეგიულ პარტიზონ სომხეთს დარტყმის ქვეშ არ დააყენებს. ქვემო ქართლის, კახეთის და აჭარის მიმართულებაზე კი აქტიურად იმუშავებს.

აზერბაიჯანის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ქვემო ქართლში რუსეთის პროვოკაცია არ გაივადეს.

**— ამ ფონზე მათ ძალიან უჭირთ საქართველოსთან საფარსა ხელის დადგენა.**

— ეს მარტო აზერბაიჯანის მხარეზე არაა დამოკიდებული. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა იმუშაოს. ბოლშევიკების მიერ გავლელი საზღვრის გამო ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდებიან.

**— აზერბაიჯანის მხარეს მოქცეულია ქართული ეკლესიები, სადაც მღვდელმსახურებსა და ეკლესიების არაერთხელ შეიქმნა პრობლემა. ამაზე რას იტყვი?**

— ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა სთხოვოს



აზერბაიჯანულ მხარეს, რომ იმ მხარეს მოქცეულ ქართულ ეკლესიებს სტატუსი მიანიჭოს.

**— ამ თოვნი თბილისის ბაქოსთვის არ მიუმართავს?**

— ჩვენ ნამდვილად არ გვსმენია ამის შესახებ. აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მჯერა, ამ საკითხს ძალიან ყურადღებით მიუდგება.

რუსეთს ქვემო ქართლში რელიგიური დაპირისპირება კიდევ ერთი მიზეზით აწყობს — თბილისსა და ბაქოს შორის ვითარება დაიძაბება. აჭარაშიც ძალიან ბინძურ თამაშს აპირებენ. აურევენ სიტუაციას და ამას თურქეთს დააბრალებენ. აზერბაიჯანისა არ იყოს, თურქეთიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია.

ქვეყანა საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რაც უფრო დავუხლოვდებით დასავლეთს, რუსეთი მეტ პროვოკაციას მოამზადებს. მთავარია, ამისთვის ჩვენ მზად ვიყოთ.

**— ხელისუფლება მზად არის ამ გამოწვევებისთვის?**

— ხელისუფლების გარდა, მოსახლეობაც მართებს კეთილგონიერება. საჭიროა ხალხთან მუშაობა, რომ ისინი რუსულ პროპაგანდას არ ნამოვდებიან. ახლა რუსეთისკენ მიტრიალება საქართველოსთვის, შესაძლოა, დამლუვებელი გამოდგეს.

სახალხო დამცველმა და არასამთავრობოებმაც უნდა იფრთხილონ. ნებისმიერ შემთხვევაში რუსული პროპაგანდის მატარებლები შეიძლება აღმოჩნდნენ.

**— რას გულისხმობთ?**

— ხშირად ისინი პატარა გაუგებრობაზე არაჯანსაღ ხმაურს ტყენენ. რამდენიმე წლის წინ მეჩეთზე ვიღაც პროვოკატორმა ღორის თავი დაკიდა. ამაზე სერიოზული ამბავი ატყდეს. იმდენი იყვირებს, ვიდრე ეს ფაქტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში არ მოხვდა.

ამან, შესაძლოა, დასავლეთში შექმნას ის აზრი, რომ საქართველოში დიდი აქვს რელიგიურ შეუწყნარებლობას. რაღაცა რომ მოხდეს, რუსეთს კი აღარავინ დაადანაშაულებს, ჩვენსკენ გამოიშვრენ ხელს. ამისთვის ფონიც მომზადებული იქნება.

## სხინვალში კავშირგაბმულობის უფროს სოცხლად წვაკდნენ

შორენა მარსაგიშვილი



დანარჩენი საქართველოს მსგავსად, კრიმინალი ცხინვალის რეგიონშიც შესანიშნავ მდგომარეობაშია.

ადგილობრივი მედიის ცნობით, 11-12 მაისს ღამით ნიღბიანები ადგილობრივი კავშირგაბმულობის უფროსს, ხასან გიგოლაივს, სახლში შეუფარდნენ.

კავშირგაბმულობისა და მასობრივი კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარეს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაცენეს. ნაცემია მისი მეუღლეც. ორივე მათგანს სამედიცინო დაზარალება დასჭირდა.

ინციდენტის სოფელ დმენისში გიგოლაივების საცხოვრებელ სახლში მოხდა. კავშირგაბმულობის კომიტეტის თავკაცის ბინიდან გატანილია ფული და ძვირფასეულობა.

სამართალდამცავებმა დამ-

ნაშავეების დადგენა და პოვნა ვერ მოახერხეს. მათზე მეტი ინფორმაცია აქვთ დაზარალებულების მეზობლებს.

როგორც ისინი აცხადებენ, გიგოლაივების სახლში 4 ბოროტმოქმედი შევიდა. ყველა მათგანს სახეზე ნიღბი ეკვია.

— სახლში ნიღბიანები შევარდნენ. მათ სცემეს ხასანი და მისი მეუღლე. ემუქრებოდნენ, რომ იქაურობას ბენზინს მისამდინენ და ცეცხლს ნაუკიდებდნენ, თუ ისინი

ფულსა და ძვირფასეულობას არ მისცემდნენ, — ამბობენ მეზობლები.

4 ნიღბიანი განსაკუთრებულ სისასტიკით ხასან გიგოლაივს გაუსწორდა. ის ისე იყო ნაცემი, რომ საჭირო გახდა საავადმყოფოში მისი გადაყვანა.

ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმების ცნობით, მათ პაციენტს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ურჩიეს, რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაეტარებინა, თუმცა, კომი-

ტეტის თავმჯდომარემ სახლში ამჯობინა წასვლა.

სერიოზულად დაშავდა გიგოლაივის მეუღლეც, ოღონდ, ქმრისგან განსხვავებით, საავადმყოფოში წასვლა არ ისურვა. მას სახლში აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

მომხდართან დაკავშირებით ადგილობრივმა შსს-მ უკვე აღძრა ისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცავები პირობებს დებენ, რომ დამნაშავეებს დაიჭირონ.

ადგილობრივების განმარტებით, მომხდარი ძალიან ცუდად იმოქმედებს ახალ პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვის იმიჯზე, რომელიც მოსახლეობას დაჰპირდა, რომ წესრიგს დაამყარებდა და კრიმინალს ალაგმავდა.

პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულებიდან ზუსტად 3 კვირის თავზე, მის კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარეს სახლში შეუფარდნენ და ცოცხლად წვაკდნენ.

## ვაშუა ტუსაკაძე: „პოლიცია პირდაპირ ეთერში დაბაკავა“

დახაწიხი მე-4 გვერდზე

ლის მიმართ. ჩვენ უტყუარი მტკიცებულებები გვაქვს. 30 მაისს, დარწმუნებული ვარ, სასამართლო სამართლიანობას გვაზეიმებს და სრულად გავგათავისუფლებს ნამოყენებულ ბნელდებებს. ნინალდევ შემთხვევაში, ჩავთვლი, რომ დღეს ისევ მურუსიძის სასამართლოა.

**— საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დაზარალებულების საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. რატომ არის აუცილებელი აქციები?**

— პროკურატურამ და სახელმწიფომ ამ დაზარალებულებს თვალს ნაცარი შეაყარა. რამდენიმე თვეში დაკავებული და გასამართლებული იქნება ფერაძე, მისი ქონება კი — დაყადაღებული. 3 ათას კაცამდე დაზარალებულს, საბოლოო ჯამში, ფერაძის ქონებიდან საშუალოდ 15-10% ქონებას დაუბრუნებენ.

**— აქციებზე რას ითხოვთ?**

— ჩვენ ვითხოვთ, რომ დაინშნოს იძულებითი მმართველი, გაკონტროლდეს ფერაძის ბიზნესი. 8 სახეობის ბიზნესი აქვს ფერაძეს. მისი ბიზნესი წარმოადგენს 12 მილიონზე მეტის ქონებას. თუ მას სახელმწიფოს წარმომადგენელი ნორმალურად ააშუშავებს, 3-5 წელიწადში შეანაზრებების თანხა სრულად შეიძლება იქნეს გასტუმრებული. საამისოდ გვჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა და ამისთვის ვიბრძვით.



# მსოფლიოში ყველაზე ძვირი უძრავი ქონება მონაკოშია, მოსახლეობისთვის ხელშეწყობელი კი, ჰონკონგში


მსოფლიოში ყველაზე ძვირი უძრავი ქონება მონაკოშია — ამ ქალაქ-საოკეანოში პრემიუმ-კლასის ბინის საშუალო ფასი 1 კვ/მ 40 000 ევროს შეადგენს. კომპანია შვილსის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში მონაკოში ფასები 180%-ით გაიზარდა.

— ფასების ასეთი მაღალი ზრდა იშვიათობაა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებისთვის. მაგალითად, ტოკიოში 10 წლის განმავლობაში ელიტური საცხოვრებელი სახლები მხოლოდ 13%-ით გაძვირდა, 1 კვ/მ-ზე 29 200 დოლარამდე, შანხაიში ზრდა უფრო შთაბეჭდილი იყო — 248%, თუმცა საბოლოო ფასი მაინც ბევრად ნაკლებია — 11 900 დოლარი 1 კვ/მ, — აღნიშნავენ კომპანიის ანალიტიკოსები.

თუმცა, ასეთი მაღალი ფასების მიუხედავად, მსაბეწველია, მონაკოში წლიურად იყიდება 2 მლრდ. ევროს საცხოვრებელი ფართი, რაც გამოწვეულია დიდი მოთხოვნით და მცირე მიწოდებით. კერძოდ, 2016 წელს გაიყიდა მხოლოდ 553 ობიექტი, რაც თითქმის არ განსხვავდება 2015 წლის მონაცემებისგან — 547.

საშუალოდ, მონაკოში ახალი ბინა ღირს 13, 7 მლნ. ევრო, რაც 3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მეორადი. 2016 წელს გაყიდული 533 ობიექტიდან მხოლოდ 33 იყო ახალი — ეს შეადგენს გარიგებების 6%-ს.

ექსპერტების აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ მონაკოში ძალიან ბევრია 1960-1970 წლებ-



ში აშენებული სახლები, რომელთა დიდი ნაწილი საჭიროებს განახლებას და რემონტს.

კომპანიის მიერ შედგენილ ყველაზე ძვირი ბინების რეიტინგში ასევე შედის ისეთი ქალაქები

როგორც მოსკოვი (11 700 ევრო 1 კვ.მ, ეს 26%-ით მეტია, ვიდრე 10 წლის წინ), ჰონკონგი (39 100 ევრო, +111%), ლონდონი (17 600 ევრო, +70%), ნიუ-იორკი (16 700 ევრო, +45%), პარიზი (11 900 ევრო, +32%), სინგაპური (10 200 ევრო, +75%). დუბაიში, სადაც ელიტური უძრავი ქონების მინიმალური ალმაცხადი მოთხოვნას, ფასები დაეცა 10 წლის განმავლობაში 8%-ით და ამჟამად 1 კვ/მ შეადგენს 6 100 ევროს.

ამავე დროს, ანალიტიკურმა ცენტრმა ე-მოგრაპია-ამ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნებში უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის საკითხი — ანუ, რამდენად შეესაბამება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები ფასებს საცხოვრებელ ფართზე. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი უძრავი ქონება ჰონკონგშია, სადაც საშუალო ბინის ფასი 18,5-ჯერ აღემატება წლიურ საშუალო შემოსავალს, თანაც საუბარია გადასახადების გადახდამდე — რეალური შემოსავალი კიდევ უფრო დაბალია, და შესაბამისად, ბინები და სახლები — კიდევ უფრო

მიუწვდომელი. ჰონკონგი იკავებს ამ რეიტინგში პირველ ადგილს უკვე მე-7 წელია.

ემოგრაპია-ს ანალიტიკოსებმა განიხილეს 406 ქალაქი 9 ქვეყანაში — ავსტრალიაში, ბრიტანეთში, ჰონკონგში, ირლანდიაში კანადაში, ახალ ზელანდიაში, სინგაპურში, აშშ-ში, და იაპონიაში.

ექსპერტები თვლიან უძრავ ქონებას შედარებით ხელმისაწვდომად მაშინ, როდესაც სხვაობა საშუალო ფასს და საშუალო შემოსავალს შორის მერყეობს 3-დან 4-მდე. უკიდურესად არახელმისაწვდომია უძრავი ქონება მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი აღემატება 5-ს.

ჰონკონგის შემდეგ მოდის ახალი ზელანდია (5,9), შემდეგ — ავსტრალია (5,5), სინგაპური (4,8), ბრიტანეთი (4,6), იაპონია (4,1), კანადა (3,9), აშშ (3,6), ირლანდია (3,4).

ჰონკონგის გარდა უძრავი ქონება ასევე არახელმისაწვდომია ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში (12,2), კანადურ ვანკუვერში (11,8), და ახალ-ზელანდიურ ოკლენდში (10).

## შრომის ინსპექტირება სავალდებულო გახდება

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, რომან კაკულაძის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტროში კანონპროექტი მზადდება, რომლის მიხედვითაც, შრომის ინსპექტირება სავალდებულო გახდება. რომან კაკულაძემ საკანონმდებლო რეგულაციებზე ისაუბრა, რომლებიც შრომის უსაფრთხოების დაცვას ეხება.

— დღეისთვის ეს სფერო დარეგულირებულია „შრომის კოდექსის“ 35-ე მუხლით, ასევე „წიალის შესახებ“ კანონითა და მთავრობის სპე-



ციალური დადგენილებით, რომელიც ასეთი ტიპის შახტებში უსაფრთხოების ნორმებს ადგენს. „წიალის შესახებ“ კანონის მიხედვით, დამსაქმებელს განწერილი ვალდებულება აქვს, რათა უსაფრთხოების ნორმები დაცული იყოს, იმ პირობაში რეგანსაზღვროს, რომელთაც კანონის შესაბამისი ქმედებები უნდა შეიმუშაონ და პერიოდულად, ამ ნესებთან დაკავშირებით, სანარმოში მომუშავე ადამიანების ინსტრუქტაჟი და ინფორმირება გააკეთონ. ამ ყველაფერს გამოიყენებენ შეისნავლის წინასწარი მონაცემებით, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც თვითმხელელებისგან გვაქვს, ასეთი მოსაზრება იკვთება, რომ შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს უსაფრთხოების ნორმების დარღვევას ადგილზე. ცხადია, ამ ყველაფერს გამოიყენება დაადგენს, — აღნიშნა კაკულაძემ.

## რუსეთი იმპორტირებულ ღვინოზე აქციზის განაკვეთს ზრდის

რუსეთის ფინანსთა სამინისტრო გეოგრაფიული სახელების და ადგილობრივი წარმოების ღვინოების იმპორტზე შეღავათებს აუქმებს. რუსული „კომერსანტის“ ინფორმაციით, შეღავათები ასეთი ტიპის ღვინის იმპორტზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული რეგიონი, საიდანაც ხორციელდება იმპორტი, თვითონ განსაზღვრავს, რომელ გეოგრაფიულ წარმოებას მიენიჭოს უპირატესობა. ამის შესახებ გამოცემას რუსეთის საბაჟო სამსახურის დირექტორის მოადგილემ რუსლან დავიდოვმა განუცხადა.

იმპორტიორი კომპანიების შენეჯერებმა განაცხადეს, რომ ფინანსთა სამინისტროს განაცხადები აღმოჩნდა მათთვის სრულიად მოულოდნელი. მათი მონაცემებით, საბაჟოს წარმომადგენლებმა უკვე არაოფიციალურად გააფრთხილეს იმპორტიორები, რომ შესაძლებელია, მათ მოუწიოთ აქციზზე დამატებითი თანხების გადახდა. თანაც არაა გამორიცხული, რომ ეს შეეხება უკვე შემოტანილ ღვინოებს.

— ზოგ მსხვილ კომპანიას მოუწევს დამატებით 100 მლნ. რულზე მეტის გადახდა, — ამბობენ



იმპორტიორები. კომპანია „მოროს“ მფლობელმა დიმიტრი სირინმა განაცხადა, რომ ნამდვილად მიმდინარეობს აქციზზე დასარიცხი დამატებითი თანხების დათვლა.

— ვშიშობთ, რომ ფინანსთა სამინისტროს ამგვარი მიდგომა დაზარალებს იმპორტიორთა

80%-ის გასვლას ბაზრიდან. ეს, ფაქტობრივად, შეწყვეტს იმპორტს, — განაცხადა მან.

იმპორტიორები ასევე აღშფოთებულნი არიან იმით, რომ შესაძლებელია მათ მოუწიოთ დამატებითი თანხების გადახდა უკვე გაყიდულ საქონელზე.

— ჩვენ შემოგვქონდა პროდუქცია, ვაგსებდით საბაჟო დეკლარაციებს, ისინი შემომხდნენ, არანაირი პრეტენზია არაა არ გამოუთქვამს. ახლა კი, 1,5 წლის შემდეგ გვეუბნებიან — უკაცრავად, თქვენ არასწორად დაითვალეთ აქციზი, — ამბობენ ისინი.

კომპანია „ლადოგა დისტრიბიუშენს“-ს პრეზიდენტმა ვენიამინ გრებარმა განაცხადა, რომ იცის აქციზების განაკვეთის ზრდის შესახებ.

— ჩემი ინფორმაციით, ეს იყო ადგილობრივი მეღვინეების დაჟინებული მოთხოვნა, — განაცხადა მან.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის ალექსეი საზონოვის თქმით, ამ ინიციატივის მიზანია ადგილობრივი მეღვინეების მხარდაჭერა.

## 2017 წლის ტურისტულ სეზონზე აჭარაში ნიშნის მქონე გიდაბი მოემსახურებიან

2017 წლის ტურისტულ სეზონზე აჭარაში სტუმრებს ხარისხის ნიშნის მქონე გიდაბი მოემსახურებიან. ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში ყრესტი-აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის პირისა და რეკლამის განყოფილების უფროსმა ნინო ხახუბიამ ისაუბრა. მისი განცხადებით, დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული გიდაბი სამი მიმართულებით იმუშავენ.

როგორც ხახუბია აცხადებს, წელს აჭარაში ჩასულ ტურისტებს 5 ახალი ტურისტული მარშრუტიც დახვდებათ. სიახლეა სერვისის გაუმჯობესების კუთხითაც. მისი ინფორმაციით, წელს პირველად, მაღალმთიან აჭარაში არსებული საოჯახო სასტუმროს სახლების მეპატრონეების გადახდაზე მიმდინარეობს, რათა ისინი მაქსიმალურად მომზადებული შეხვდნენ ტურისტულ სეზონს.

ამასთან, როგორც ხახუბია აცხადებს, დაინიშნა არაერთი საერთაშორისო ფრენა ბათუმი აეროპორტის მიმართულებით.

— დღეისათვის 5 ახალი ავიაკომპანია ინ-


ყებს ჩარტერულ და რეგულარულ რეისებს არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების ავიაკომპანიებთან, — აცხადებს ხახუბია.

მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება არაერთი დაბალბიუჯეტური და მაღალი კლასის სასტუმროს გახსნაც.

როგორც ხახუბია აცხადებს, 2017 წლისთვის აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 16 მიზნობრივი ქვეყანა დასახა. ესენია: თურქეთი, ისრაელი, პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები — ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ბელარუსი, რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, გერმანია, ირანი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. მისი განცხადებით, თითოეულ ქვეყანაში პიარ და მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები ხორციელდება. მათ შორისაა, სოციალურ საიტებზე რეგიონის რეკლამები. იგეგმება გარე რეკლამის განთავსება ძირითად ქალაქებში, ასევე პიარ და ინფორმაციის ორგანიზება.

## კანონპროექტით ვეღარ გაიგებთ, თუ როგორ სიგარეტს ეწვიოთ

— შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და ა.შ.) და თითოეულ ლერზე აკრძალულია ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი სხვა აღმნიშვნელი ელემენტის გამოყენება, — წერია თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტში. ამ ცვლილების შედეგად, კომპანიები ვეღარ განათავსებენ ბრენდულ ნიშნებს, ვერც სიგარეტის შეფუთვაზე და ვერც სიგარეტის ლერებზე. შესაბამისად მომხმარებლებს იმის გარკვევა, თუ რა ბრენდის სიგარეტს ეწვიან, მნიშვნელოვნად გაუთუღდებათ, რადგანაც ყველა კოლოფი და ყველა ლერი ერთნაირი იქნება. ცვლილება ბიზნესი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.



ბით, ჩაატაროს საჯარო კონსულტაცია და შემოქმედების შეფასების კვლევა, რათა გათვალისწინებული იყოს პერსპექტივების ფართო სპექტრი, მონაცემები და კვლევები.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სტანდარტიზებული შეფუთვა გამოიწვევს არაერთ გაუთვალისწინებელ შედეგს, რაც არ ჩამოუვარდება იმ ნეგატიურ გავლენას, რასაც ეს ცვლილება იქონიებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, საგადასახადო შემოსავლების, უკანონო ვაჭრობის, ფულის გათუღების და ფინანსური დანაშაულებების მიმართულებით.

სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღება

ბრენდის მფლობელებისთვის კანონიერი ინტელექტუალური საკუთრების უფლების ჩამორთმევის ტოლფასია;

სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღება გამოიწვევს თამბაქოს ბაზარზე უკანონო ვაჭრობის ზრდას, რადგან სტანდარტიზებული შეფუთვის დიზაინის გაყვანა ბევრად მარტივია, ვიდრე არსებული დიზაინისა.

სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღება გაართულებს ორიგინალური და გაყვალბებული თამბაქოს პროდუქტების გარჩევას როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე აღმასრულებელი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ისედაც საკმარის წინააღმდეგობას ხვდებიან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებისას.

უკანონო ბაზრის ზრდა უარყოფით გავლენას იქონიებს საგადასახადო შემოსავლებზე, რადგან თანხების გადინება მოხდება თამბაქოს უკანონო ბაზარზე ჩართული მიმწოდებელი კრიმინალური დაჯგუფებებისკენ.

სტანდარტიზებული შეფუთვა გამოიწვევს საფრთხე ნიშნებისა და ბრენდირების განთავსებას. ამით მომხმარებლებს ხელიდან ვაცდით პროდუქტის მწარმოებლისა და ხარისხის შემომწმების და, შესაბამისად, დასაბუთებული არჩევანის გაკეთების კრიტიკულად მნიშვნელოვან მექანიზმს.

სტანდარტიზებული შეფუთვა შესაბამისობაში არ მოდის ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასაცავად მიღებულ ქართულ საერთაშორისო კანონებთან.

მოცემული შეფასება საქართველოში სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღებასთან დაკავშირებით ადეკვატურად არ ახდენს იმ შედეგებს, რაც აღნიშნულ კანონპროექტს ექნება ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკაზე, კანონებსა და აღსრულების რეჟიმზე. მეტიც, შეფუთვით უფლები ვართ, რადგან აღნიშნული კანონპროექტის სპონსორების საკმარისად არ აფასებენ, თუ როგორ შეუძლია აღნიშნულ კანონპროექტს ძირითადი გამოუთხაროს ბიზნესისა და აღმასრულებელი ორგანიზაციების შესაძლებლობებს, ეფექტურად ებრძოლოს გაყვალბებას და უკანონო ვაჭრობას. ჩვენ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი საქართველოში (IFR ეორგია) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის (IFR) პლატფორმა — ბიზნესი კონტრაფაქციისა და სავაჭრო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ (EMBA), განსაკუთრებულ შეფუთვას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ სტანდარტიზებული შეფუთვა საქართველოს უფრო მოწყვლადს გახდის თამბაქოს უკანონო ვაჭრობის კუთხით. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, კიდევ ერთხელ გადახედოს შეთავაზებულ კანონპროექტს იმ სპეციფიკური ასპექტების გათვალისწინებით, რაც უარყოფითად იმოქმედებს ქვეყანაზე, — წერია განცხადებაში.



### ამერიკელმა შვილის ტელეფონს 15-მეტრიან ნაგვის ბროვში მიაგნო



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ჰადონ-ტაუნში მცხოვრებმა თავისი შვილის ტელეფონს ნაგვასაყრელზე 15-მეტრიან ნაგვის ბროვში მიაგნო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საშუალო სკოლის მოსწავლემ ითან რონკასმა შეცდომით საკუთარი ტელეფონი ნაგვის ყუთში ჩააგდო. მამამისმა კრეიგმა სპეციალური პროგრამის გამოყენებით მოახერხა, განესაზღვრა ტელეფონის ადგილმდებარეობა. გარკვეული დროის განმავლობაში ტელეფონი გადაადგილდებოდა, შემდეგ კი ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ობიექტში გაჩერდა, რომელიც ქალაქ კამდენში მდებარეობს.

ბავშვის მამა ნაგვასაყრელზე გაემგზავრა, 15 მეტრის სიმაღლის ნაგვის ბროვა გადაქექა და 30 წუთის შემდეგ ტელეფონს მიაგნო. ნაგვასაყრელის თანამშრომლის რიჩ ჰარინგტონის თქმით, კრეიგმა დროზე მოასწრო, ვინაიდან გარკვეული დროის შემდეგ მუშებს ნაგვის ბროვა პოლიგონზე უნდა გადაეტანათ გადასამუშავებლად.

### ახალწალანდილმა ბუნების მეზობლებმა მდინარე გასაბერი განავალი ჩაუშვა

ორგანიზაცია Action Station-მა ახალი ზელანდიის მდინარე უაიკატოში წყალსატენების დაბინძურების პროტესტის ნიშნად 50 ხელოვნური გასაბერი განავალი ჩაუშვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



ორგანიზაციის აქტივისტების ნაწილი მდინარის ნაპირიდან სკანდირებდა ლოზუნგებს, ხოლო ნაწილი მდინარეში ჩახტა და გასაბერ განავალს ჩაჭიდებულმა დაიწყო ცურვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დინების შედეგად მინიმუმ ერთი გასაბერი სათამაშო ტბა ოპაკურში აღმოჩნდა. აქტივისტი ლაურა ო'კონელ-რაბირა მიიჩნევს, რომ სუფთა წყლის ახალი სტანდარტების შემოღება ნაწილობრივ ჩხირების გავრცელებას შეუწყობს ხელს.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ოდნავ გავმხიარულებულიყავით და მისი დახმარებით გვეჩვენებინა ჩვენი დასკვნები, სინამდვილეში კი თავად ამ პრობლემაში სამხიარულო არაფერია, — განაცხადა აქტივისტმა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, ოდნავ გავმხიარულებულიყავით და მისი დახმარებით გვეჩვენებინა ჩვენი დასკვნები, სინამდვილეში კი თავად ამ პრობლემაში სამხიარულო არაფერია, — განაცხადა აქტივისტმა.

### მსოფლიოში ყველაზე მძიმე წონის ადამიანს ოპერაცია გაუკეთეს



მსოფლიოში ყველაზე მძიმე წონის ადამიანს, ზუან პედრო ფრანკოს, რომელიც 595 კილოგრამს იწონის, მექსიკაში წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია. მას კუჭის შუნტირება გაუკეთდა. ეს ოპერაცია უნდა დაეხმაროს მამაკაცს წონის ორჯერ დაკლებაში. აღსანიშნავია, რომ ფრანკოს, მინიმუმ, კიდევ ერთი ბიზნესი უნდა დაეხმაროს მამაკაცს წონის ორჯერ დაკლებაში. აღსანიშნავია, რომ ფრანკოს, მინიმუმ, კიდევ ერთი ბიზნესი უნდა დაეხმაროს მამაკაცს წონის ორჯერ დაკლებაში.

ქირურგიული ჩარევის გადატანა მოუწევს, მაგრამ თავდაპირველად — იმისთვის თვალყურის დევნება, თუ როგორი რეაგირება ექნება მის ორგანიზმს ცვლილებებზე. მეორე ოპერაცია მიმდინარე წლის ნოემბრისთვისაა დაგეგმილი. მას კუჭისა და ნაწლავების ზომას შეუმოქმედებენ.

### რუსი მილიარდერი ყოფილ მეუღლას 450 მილიონ ფუნტს გადაუხდის

დიდი ბრიტანეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსი მილიარდერი თავის ყოფილ მეუღლეს 453 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადაუხდის (თითქმის 584 მილიონი დოლარი). აღსანიშნავია, რომ ეს დიდი ბრიტანეთის ისტორიაში განქორწინებისას ერთ-ერთი ყველაზე დიდი გადასახდელი კომპენსაციაა. მოსამართლემ პროცესის მონაწილეთა ვინაობის დასახელება აკრძალა, თუმცა განაცხადა, რომ საუბარი იყო 61 წლის ნათობგაზის კავკასიური წარმოშობის მანგატსა და 41 წლის აღმოსავლეთევროპულ ქალბატონზე, რომელმაც მოსკოვში იქორწინეს და შემდეგ სურვის საგრაფოში გადავიდნენ საცხოვრებლად. ქალს ერთად ცხოვრების დროს დაგროვებული ქონების 41,5 პროცენტი ერგო.

მელიც არ სახელდება, საკუთარი წილის გაყიდვის შემდეგ, რაშიც 1,3 მილიარდი დოლარი აიღო, თავის შვილებს ლონდონის ელიტურ რაიონში ორი ბინა უყიდა. თუმცა მოსამართლემ მისი ეს არგუმენტები არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ ამ საკითხში მუხდლებების წვლილი თანაბარი იყო. ამ აღწერას აზერბაიჯანული წარმოშობის ბიზნესმენი ფარხად ახმედოვი შეესატყვისება, რომელიც დიდ ბრიტანეთში 1980-იან წლებში გადასახლდა. ის იქ რუსულ ბენეფიციარად გადარჩა. 1993 წელს მან ხუთპროცენტის წილი მიიღო გაზის მოპოვებელ საწარმო „ნორტგაზში“. 2012 წელს მანგატმა საწარმოს აქციების საკუთარი წილი 1,3 მილიარდ დოლარად გაყიდა და ამ თანხის ნაწილი სხვა რუსულ კომპანიებში დააბანდა.

დღევანდელი მონაცემებით, ახმედოვი რუსეთის უმდიდრესი ბიზნესმენების სიაში 67-ე ადგილზე იმყოფება.

### ამერიკაში ოგობა ავარიის მიზეზი გახდა



ამერიკის მიჩიგანის შტატში ოგობის მიერ შეწინებული მძღოლი ავტოავარიაში მოყვა. ლილანოს ოლქის შერიფის ოფისის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 26 წლის მამაკაცმა, რომელიც ავტომობილს მართავდა, მანქანაში თავს ზემოთ ოგობა შენიშნა. ამის გამო მას ყურადღება გაეფანტა და მანქანის მართვა დაკარგა. ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, მოსრიდა, ხშირ ბუჩქნარში შევარდა და საბოლოოდ ის ხემ შეაჩერა. ამ ავარიის შედეგად ავტომობილში მჯდომმა 29 წლის ქალმა ხელის მტყუნის ტრავმა მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ბერაქტი რომის სენატში



12 მაისს რომის ცენტრში, ფოსტის შესასვლელთან, აფეთქება მოხდა. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა. ის ორ მანქანას შორის იდო. აფეთქების შედეგად დაზიანდა ავტომობილი. რომის პროკურატურის განცხადებით, აფეთქების ყველაზე სავარაუდო კვალი ანარქისტულ ძალებზე გადის. — ასაფეთქებელი მოწყობილობა პლასტმასის ყუთში იყო განთავსებული, — განაცხადა სასამართლო სამსახურის წარმომადგენელმა.

### ჩინეთი ამერიკულ საქონელს გაზარდს გაუხსნის

აშშ-ის ვაჭრობის მინისტრმა როსმა განაცხადა, რომ ჩინეთთან მიღწეულია შეთანხმება ფართომასშტაბიანი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესახებ. ჩინეთი თანახმაა, ამერიკული საქონლისთვის თავისი ბაზარი გახსნას. კერძოდ, აშშ ჩინეთს ბუნებრივ გაზსა და ხორცეულ პროდუქტებს მიანცდის; ჩინეთში გზა გაეხსნება ამერიკულ სადაზღვევო კომპანიებს და ა.შ. — ესაა გრანდიოზული შეთანხმება, რომელიც ჩვენი ქვეყნების დაახლოებას ხელს შეუწყობს! — ამბობს როსი.



### ინსიდენტები შავ ზღვაზე




შავ ზღვაზე, ნეიტრალურ წყლებში, მორიგი ინციდენტი მოხდა. რუსეთის ავიაცია ავიაგამანადგურებელი ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავს სახიფათო დისტანციაზე მიუახლოვდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული ფაქტი აღიარა. — ამერიკული თვითმფრინავი ჩვენს საზღვრებს მიუახლოვდა. ჩვენც სათანადო ზომები მივიღეთ! — ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რუსების პრო-

ვოკაციები მკვეთრად გახშირდა, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. — ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, — თქვა სტოლტენბერგმა.

### თურქეთში გერმანიის მოქალაქე ემიგრაციის თოლა დააპატიმრეს

თურქეთში გერმანიის მოქალაქე ემიგრაციის თოლა დააპატიმრეს. ის ეროვნებით ქურთია და თურქეთში დაიბადა, თუმცა თავის დროზე თურქეთის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა და გერმანიის მოქალაქეობა მიიღო. თოლა პროკურორულ საინფორმაციო სააგენტოში მთარგმნელად მუშაობდა. თურქეთის ხელისუფლება მას ბრალად ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას სდებს.



### უკრაინელი ნაციონალისტები ავარიის გადაყენებას მოითხოვენ



უკრაინელი ნაციონალისტთა ორგანიზაციის წევრებმა შს სამინისტროსთან აქცია გამართეს. ისინი მინისტრ ავაკოვის გადადგომას მოითხოვენ. — პოლიცია 9 მაისს სეპარატისტებსა და კომუნო-პრორუსულ ელემენტებს მხარს აქტიურად უჭერდა. ამაზე პასუხისმგებლობა ავაკოვის ეკისრება, — აცხადებენ ნაციონალისტები. იმაზე, რომ 9 მაისს უკრაინელი ძალები არაფეთქებულად მოქმედებდნენ, უკვე ბევრი ლაპარაკობს. შს მინისტრის ყოფილი მრჩეველი გერაშენკო ამბობს, რომ რიგ ქალაქებში პოლიცია კომუნო-სეპარატისტული ძალების მხარეს დადგა. — განმეორდა ის, რაც იანუკოვიჩის დროს მოხდა ანუ პოლიციამ წესრიგის დაცვის ნაცვლად პრორუსული უმცირესობის მხარდაჭერა დაიწყო, — თქვა გერაშენკომ.

მოამზადა ნიკა თევაძემ

**სახალხო მკურნალი ლამბრა თოდუა** მოგიჩვენებს სახის კანის გამოწვევებს უმტივირებულ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ემკურნალი:** 1. სეზონურად; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტის; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულმკარვას („იჟოგას“); 13. მასტობათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნაწინსარსს; 15. ნაწილებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოხსნი მეჭეჭებს; 17. განკურნავს ჭიებისგან; 18. დაავადებულ კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# რა არის ელასტოგრაფია

ეკა არემაშვილი

სიმსივნური პათოლოგიების მკურნალობისათვის ადრეული და სწორი დიაგნოსტიკა ხშირად გადაწყვეტილია. დიაგნოსტიკური საშუალებების სფეროში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა...



მატებით ხორციელდება ელასტოგრაფიის პროცედურა. — ვისთვის არის რეკომენდებული ელასტოგრაფია?

ელასტოგრაფია განსაკუთრებით რეკომენდებულია ფარისებრი და სარძევე ჯირკვლების პათოლოგიური წარმონაქმნების ნაადრევი დიაგნოსტიკისთვის, აგრეთვე პროსტატის სკრინინგის დროს, როდესაც კვანძი არ არის იმ ზომის, რომელიც საჭიროებს ციტოლოგიურ კვლევას...

პაციენტებზე კერძო დინამიკაში დაკვირვების მიზნით ანუ უკვე ჩატარებული ციტოლოგიური კვლევის შემდეგ — ჩხველთა პათოლოგიური უბანში, როდესაც პაციენტი არ საჭიროებს ან უარზეა ოპერაციულ ჩარევებზე.

ელასტოგრაფიის მეშვეობით გამოარჩევენ ონკოლოგიური თვალსაზრისით მეტად საეჭვოს. ამ შემთხვევაში ელასტოგრაფია არის ციტოლოგიური კვლევის წინამორბედი.

პაციენტებზე, რომლებიც ციტოლოგიური კვლევის წინააღმდეგე არიან.

— რა შედეგს იძლევა ელასტოგრაფია წინამდებარე ჯირკვლის ონკოლოგიური პათოლოგიების დროს?

წინამდებარე ჯირკვლის ონკოლოგიური პათოლოგიების დროს ელასტოგრაფია განაპირობებს 95%-მდე დიაგნოსტიკურ სიზუსტეს. სტატისტიკურად, სხვა ბიოფსიებიდან შედარებით, პროსტატის ბიოფსიის დაბალი სენსიტიურობა გამოწვეულია იმით, რომ სპეციალისტი ხარისხიანად ვერ აფასებს, რომელი დაზიანებული უბნიდან უნდა აიღოს მასალა. ბოლო კვლევების თანახმად, პროსტატის ელასტოგრაფიით დადგენილ პათოლოგიურ უბანში ჩატარებული ბიოფსია გამოირჩევა საგრძნობლად მომატებული დიაგნოსტიკური ფასეულობით ანუ მასალის აღება ხდება ელასტოგრაფიით დადგენილ კერაში, რის გამოც ავირიდებთ დაუზიანებელი მასალის აღებას.

— კიდევ რა პათოლოგიური წარმონაქმნების ბიოფსიის ატარებთ კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით?

ჩვენს კლინიკაში წარმატებით ხორციელდება კლინიკა „ლანცეტში“ გულ-მკერდის ყაფაზის, ფილტვებისა და შუასაყარის პათოლოგიური წარმონაქმნების ბიოფსია კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით.

## სპორტი

# ოქროს ბურთის კანდიდატები ლეო მესი პირ მოხვდა

ფრანს ფუტბოლმა 2017 წლის „ოქროს ბურთის“ მიღების კანდიდატები დაასახელა — პრესტიჟული ჯილდოსთვის კრიტიკულად რონალდუ, ჯანლუიჯი ბუფონი, ანტუან გრიზმანი ან კილიან მბაპე იბრძობებიან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იტალიელი მეკარე ჯილდოს ისტორიაში, შესაძლოა, მეორე გახდეს, რომელსაც საუკეთესოს ტიტულს მიანიჭებენ. პირველად „ოქროს ბურთი“ ლევ იაშინმა მიიღო (1963).

თუ 18 წლის კილიან მბაპე გახდება ტიტულის მფლობელი, ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი იქნება, რომელმაც „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა, მანამდე ყველაზე ახალგაზრდა ასაკში ჯილდო ბრაზილიელმა რონალდომ მიიღო (21 წლის).

საფეხბურთო ჯილდო ფრანგულმა საფეხბურთო ჟურნალმა დაანახა და ის ყოველწლიურად გადაეცემა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს. ამის გამო ხშირად ამ დაჯილდოებას ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოებას უწოდებენ.



ლევენდეს, როგორც იცნენ: პელე, გარინჩა, დიეგო მარადონა...

1995 წლიდან ეს წესი შეიცვალა და ჟურნალისტებს უფლება მიეცათ, დაესახელონ ნებისმიერი ევროპის ფეხბურთელი, თუ ის ევროპულ კლუბში თამაშობდა. ამ წესის შემოღებიდან პირველივე წელს „ოქროს ბურთის“ მოგება მოახერხა ლიბერელმა ჯორჯ ვეამ (მილანი).

2010 წლიდან ოქროს ბურთის დაჯილდოება შეიცვალა სტატუსი, ფიფას და ფრანს ფუტბოლის საერთო ინიციატივით, გაერთიანდა ფიფას წლის ფეხბურთელის დაჯილდოებასთან ერთად დაჯილდოებასთან ერთად. 2016 წლიდან იარსება და შემდეგ კვლავ დამოუკიდებლად განაგრძეს არსებობა.

2009 წლიდან ყველაზე მეტჯერ (3) ოქროს ბურთის მოგება სამმა ფეხბურთელმა მოახერხა მიშელ პლატინიმ, იოჰან კრუიფმა და მარკო ვან



ელასტოგრაფია ონკოლოგიური დაავადებების დასადგენად ერთ-ერთი სარწმუნო მეთოდია თავისი მაღალი სენსიტიურობისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით. ულტრაბგერითი ელასტოგრაფია ქსოვილის სტრუქტურის შეფასებისათვის განსაკუთრებით ინოვაციური ტექნოლოგიაა, რომელიც ემყარება არარტოგრაფიის მსგავსი სიმკვრივის — დრეკადობის სხვაობის გამოვლენასა და შეფასებას.

რა არის ელასტოგრაფია, რა უპირატესობა აქვს აღნიშნულ მეთოდს სხვა დიაგნოსტიკურ მეთოდებთან შედარებით და რა დროს მიმართავენ ელასტოგრაფიას? — ამ თემებზე სამედიცინო ცენტრ „ლანცეტის“ ექიმი-რადიოლოგი ერეკლე გიგიაძე საუბრობს.

ერეკლე გიგიაძე: — სიმსივნური პათოლოგიების მკურნალობისათვის ადრეული და სწორი დიაგნოსტიკა ხშირად გადაწყვეტილია. დიაგნოსტიკური საშუალებების სფეროში განსაკუთრებული წინსვლაა ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ელასტოგრაფია ონკოლოგიური დაავადებების დასადგენად ერთ-ერთი სარწმუნო მეთოდია თავისი მაღალი სენსიტიურობის — 73-100% და სპეციფიკურობის — 92-94% გათვალისწინებით.

ულტრაბგერითი ელასტოგრაფია ქსოვილის სტრუქტურის შეფასებისათვის განსაკუთრებით ინოვაციური ტექნოლოგიაა, რომელიც ემყარება არარტოგრაფიის მსგავსი სიმკვრივის — დრეკადობის სხვაობის გამოვლენასა და შეფასებას.

ჩვენს კლინიკაში ბიოფსიისთან ერთად წარ-



გიორგი შენგელაია ორი შედეგი ნიკუშა და ნანდრო მსახიობ სოფო კოჭაურელთან ქორწინებისას შექმნიან. რეჟისორის მადლიერმა საზოგადოებამ კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ სახელობის ვარსკვლავი გაუხსნა, რომელიც რიგით მესამე აღმოჩნდა მათი დიდი ოჯახიდან, ნატო ვაჩნაძის და ელდარ შენგელაიას შემდეგ, კინოთეატრის წინ გიორგი შენგელაიას ვარსკვლავიც საზეიმოდ გაიხსნა.

## გიორგი შენგელაია 80 წლის გახდა

კინორეჟისორი გიორგი შენგელაია 80 წლის გახდა. იუბილე მან მოკრძალებულად აღნიშნა. იუბილარ ხელოვანს წლები მანძილზე არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო პრემია თუ ჯილდო მიენიჭა. მან ქართული კინემატოგრაფის არაერთი მნიშვნელოვანი და აღიარებული ნამუშევარი შესძინა. „ფიროსმანი“, „ალავერდობა“, „ვერის უბნის მელოდიები“, „სიყვარული ყველას უნდა“, „ხარება და გოგია“, „მაცი ზვიტია“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ — ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა გადაიღო.

მისი მთელი ცხოვრება ქართულ კინოსთან არის დაკავშირებული. ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის ვაჟმა უფროსი ძმის, ელდარ შენგელაიას, მსგავსად კინორეჟისორობა გადაწყვიტა და თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა. კულტურას ემსახურება მისი შვილი, მხატვარი ნიკუშა შენგელაიაც.

## მარიკა კვალაშვილს ხელოვნების ქუჩაში მიანიჭეს

კომპოზიტორ მარიკა კვალაშვილს კულტურის სამინისტროს უმაღლესი ვადლო ხელოვნების ქუჩაში მიანიჭეს. ჯილდო ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის არაერთი ცნობილი ქართული სიმღერის ავტორს კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ პირადად გადასცა. კომპოზიტორის დაჯილდოება მარკა 80 წლის იუბილეს დაემთხვა. საბედნიეროდ, მარიკა კვალაშვილს მოგვალე საპატიო ნიშნები და პრემია აქვს მიანიჭებული, ღირსების ორდენი, საესტრადო სიმღერებისთვის წლის საუკეთესო კომპოზიტორის ნიშნები, თბილისის საპატიო მოქალაქის ნიშნები... ამჯერად მის ჯილდოებს კიდევ ერთი — ხელოვნების ქუჩაში შეემატა. მარიკა კვალაშვილი ქართული ხალხური სიმღერის ცნობილი შემსრულებლის, მომღერალ მარო თარხნიშვილის შვილიშვილია, იგი საქართველოს რუსთაველის საზოგადოების კულტურული განვითარების თავმჯდომარეა. კომპოზიტორმა დააარსა პროექტი „ქართული სიმღერის პროპაგანდა“, რომელიც გულისხმობს საქართველოს ყველა კუთხის დაბა-სოფლებში ქართული სიმღერის პროპაგანდას, ნიჭიერი ბავშვების მოძიებას. მარიკა კვალაშვილს დაწერილი აქვს როგორც საბავშვო, ასევე, საესტრადო სიმღერები. სიმღერებთან ერთად კომპოზიტორი მოთხოვნილებასც წერს. მისი შემოქმედება გაერთიანებულია ნიგნში „სიცოცხლე ამაღ ღირს“.

მარიკა კვალაშვილს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობითი ვარსკვლავი აქვს გახსნილი.

მამაშადა ეკა არემაშვილი

## განსხვავებები

გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწრაფად და მხარდაჭერა გარანტირებულია. დინამიური ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიაში ვსაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ალკოჰოლიზმი, „ახსენილი“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისგან გამონეწურვი ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მონესრიცხება — მცენარეული, შედეგადიანი, მეტეხისა და ბეთელემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამოიცხადება. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
